შაბათი, 1917 წ. ქრისტეშობისთვის 9 (22 № 268

ყოველდღიური გაზეთი

საქართველო

შაბათი, 1917 წ. ქრისტეშობისთვის 9 (22) № 268

ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კანტორა

ხელის მოწერის ფასი ქრისტეშობისთვიდან წლის ბოლომდე 6 მან. ერთი ნომერი (მხოლოდ თბილისში) 3 შაურ. (ცალკე № 15 კაპ. განცხადებების ფასი ხუთიანი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე 30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხანგრძლივი განცხადება თითოეულ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1 მანეთი. ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა წარდგენილ იქმნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

დღეს:

ცნობები:

ბოლშევიკებმა დამფუძნებელი კრება გარეკეს.—ბოლშევიკები კამჩატკას ჰყიდიან.—ხმებია გერმანელები პეტროგრადში მშვიდობიანის გზით შევიდნენ და რეგენტი დანიშნეს.—პორტუგალიაში რევოლუციაა, მთავრობის ჯარი დამარცხდა, შეადგინეს დროებითი მთავრობა.—კერენსკი პეტროგრადში ყოფილა.

თბილისში ხმები დადის: ოსმალეთის მთავრობამ საზავო მოლაპარაკების დროს ანექსიად ბათუმი და ყარსი მოითხოვა.

წერილები:

რ. ინგილო. სინოდის უკაზი საქართველოს ეკლესიის შესახებ.

ვ. წერეთელი. ჯარების ნაციონალიზაცია. საიდუმლო ხელშეკრულობანი და სპარსეთი.

გერონტი ქიქოძე. ნოე ჟორდანია და სოციალიზმის ნაციონალიზაცია.

ნ. ასათიანი. ვრაბის შემოღება იმერეთში. კორესპონდენცია—ახალციხიდან.

არეულობა განჯაში.

თბილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის სავალდებულო დადგენილება

თანახმად დროებითი მთავრობის დადგენილების 30 მარტის 1917 წლის მე-13 მუხლისა, თბილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტმა, თავისი ძველი დადგენილების დასამატებლად 7 ნოემბრის სხდომაზე დაადგინა:

1. ნება მიეცეს კერძო პირებს გუბერნიის სასურსათო კომიტეტის ნებადაურთველად თავისუფლად გადატან-გადმოტანა გუბერნიის ფარგლებში:

1) შაქარი . 3 გირვანქამდე	13) ფეხსაცმ., იმათში წუღები 2 წყვ.
2) სიმინდი . 2 ფუთამდე.	14) თუთუნი, თუთუნის ნაწ. 5 გირ.
3) ხორბალი . 2 „	15) ასანთი . 20 კოლოფ.
4) ჩაი . . 1 გირვანქამდე	16) საპონი . 3 გირ.
5) ქვილი . 20 „	17) ლობიო, ცერცვი 2 ფუთამდე
6) ერბო . 5 „	18) ბრინჯი . . 10 გირვან.
7) კვერცხი . 100 ცალამდე	19) ძალ-ყუ ... ფქვილი 5 „
8) კარტოფილი 5 ფუთამდე	20) კრუპა ყოველნაირი 10 „
9) ფქვილი . 2 „	21) გამომცხვარი პური 18 „
10) შალი ... 1 ნაჭერი	22) ფრინველი, ცოცხალი და მოკლული განუსაზღვრელათ.
11) ძაფი საკერავი 5 კოჭი.	23) დ... ფქვილი 1 გირვანქ.
12) ტყავის საქონელი 3 გირვანქამდე	

2. ბათანა გუბერნიიდან ზემო ჩამოთვლილ საგნებისა არა უმეტეს ნაჩვენებ რაოდენობისა ... ყოველთვის აღგილობრივ რაიონულ სასურსათო კომიტეტების განსაკუთრებული ნებართვით. გუბერნიიდან ზემო ნაჩვენებ რაოდენობაზე მეტის გატანაზე საჭიროა გუბერნიის სასურსათო კომიტეტის ნებართვა.

3. ფქვილის გადაზიდვა 5 ფუთამდე გუბერნიის საზღვრებში, აგრეთვე გუბერნიის საზღვრებში ზემო 5 ჩვენებ რაოდენობაზე მეტის გადაზიდვა აკრძალულია რაიონულ სასურსათო კომიტეტის ნებადაურთველად (გასატან ადგილიდან).

4. გადაზიდვა გუბერნიის საზღვრებში, აგრეთვე გატანა გუბერნიიდან 5 ფუთზე მეტი ფქვილისა, მანუფაქტურისა, ცარიელი ტომრებისა, შუშისა, ... საქონლისა, რკინისა და რკინეულობისა, აკრძალულია გუბერნიის სასურსათო კომიტეტის ნებადაურთველად, თუ ასეთის გადაზიდვას კერძო ხასიათი აქვს.

5. ... და გაზიდვა თბილისში გუბერნიის სასურსათო კომიტეტის ... ყოველგვარი ხორაგეულისა რამდენიც არ უნდა იყოს, უნდა სწარმოებდეს დაუბრკოლებლივ, ადგილობრივ სასურსათო კომიტეტის ნებართვით.

ამ სავალდებულო დადგენილებით ყველა დადგენილებანი კომიტეტისა, რომელიც საქონლის გადაზიდვა-გადმოზიდვას შეეხება, ჰკარგავენ ძალას და მომავალში ადმინისტრაცია რკინის გზებისა, ფოსტა-ტელეგრაფის და სატრანსპორტო კანტორებისა და ადგილობრივ მილიცია ხელმძღვანელობენ მხოლოდ ამ სავალდებულო დადგენილებით. დამნაშავენი ამ სავალდებულო დადგენილების დარღვევაში პასუხისგებაში მიეცემიან მე 29 მუხლის ძალით, რომელიც მიესადაგება მომრიგებელ მოსამართლის მიერ დროებითი მთავრობის რედაქციით 17 მარტიდან 1917 წლისა. (2—1)

ქართული კლუბის

კანტორისათვის საჭიროა:

კონტორის გამგე და რემინგტონზე მომუშავე ქალი

პირობების გაგება შეიძლება ყოველ დღე კლუბის კონტორაში.

2—850—2

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი

იმყოფება ახალ ბინაზე, სასახლის ქუჩა № 5, ქართული სამეურნეო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდის და საღამოს 7—9 საათამდის. ამ დროს განმცხადებლობაში შეიძლება როგორც ცნობების მიღება, ისე წევრად ჩაწერა და შემოწირულების მიტანა.

თბილისის პირველი უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა და ყოველ გვარი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7-მდე „საქართველოს“ რედაქციაში ბ-ნ ევგენი იაკობის ძე გეგეჭკორთან.

მეექვსე და მეშვიდე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრთა მიღება და ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 11—3 და საღამოს 5—7-დე ლესელიძის ქუჩა № 5, სახლი კლიმიაშვილისა.

მერვე და მეცხრე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 7—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მესამე მოსამართლის ბინაზე (...ნების ქუჩა, სახლი № 4), კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ყიფიანთან.

მეათე და მეთორმეტე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის თავმჯდომარე ლ. მ. დუმბაძესთან და აქვე ლ. მაჩაბელთან.

ამიერ-კავკასიის ბანკში

(თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5)

იყიდება

ბათუმში დაარსებულ ქართულ ინავთის საზოგადოების აქციები 1000, 3000, 5000, 10000 და 25,000 მანეთიანი.

დაწვრილებითი ცნობების მიიღება: თბილისში, იმავე ბანკში, ბათუმში საზოგადოების კონტორაში ვორონცოვის ქ. № 4. თ—766—42

ექიმი

დიმიტრი (რამინ) იოსების ძე ჟორდანია

სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა. გორის ქუჩა № 6, დიდუბე. თ—879—7

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავადმყოფთ ყოველ დღე, კვირის გარდა, საღამოს 5-დან 7 საათამდე. გუნიის ქუჩა № 41. ტელეფონი № 14—09

ექიმი

გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77. თ—28

ექიმი

ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულ და შარდის (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპურება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებით ავადმყოფებს მიიღებს დილით 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

ქალის ექიმი

მამულაიშვილი-ხოდნევისა

მშობიარობა

ავადმყოფებს მიიღებს. 10—1 დილით, 5—6 საღამოს, გარდა კვირისა. ოლღას ქუჩა, № 22. 25—823—30

ექიმის თანაშემწე

ვანო სამთავშვილი

იღებს ავადმყოფებს საღ. 4—6 საათ.—ვენერიულ სნეულებათა წამლობა, ... წამლის შეშხაპურება. სისხლის ნაკლებობ, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრონიზაციით წამლობა, მასაჟი, ... და სხ. მისამართი: ... შესახ. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი). 47—748—თ.

ამიერ-კავკასიის საექციონერო, აფთიაქის მასალის სავაჭრო საზოგადოება

ამით აცხადებს, რომ აქციებზე ხელის მოწერა 15 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე მიიღება: ქუთაისში — ლ. გ. კოკოჩაშვილთან, ბათუმში — მდივანიძე გ. 3. ნიკოლაძესთან, სოხუმში — მელაძე ნ. კ. ...თან, ხაშურში — ... ა. ი. ალხაზიშვილთან, თბილისში — ამიერ-კავკასიის ბანკში. 2—879—2

საგანგებო კრება

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრ. საზ.

თბილისის განყოფილების

დანიშნულია კვირას 10 დეკემბერს, დილის 10 საათზე, ქართულ კლუბის დარბაზში, სასახლის ქუჩა.

განსახილველია: 1) ახ. ჩევნება 50 რწმუნებულის და 2) მიმდინარე საქმეები.

2—890—3

სინოდის უკაზი საქარ. ეკლესიის შესახებ

ხშირად გვქონია შემთხვევა აღგვენიშნა რუსეთის სინოდის აშკარა შოვინისტური მიმართულება. უწინ თუ ეს დაწესებულება ითვლებოდა თვითმპყრობელობის ხელის ჩამდებლად, გატაცებით ასრულებდა ხალხის მტრების სურვილებს და აწარმოებდა დამპყრობელ პოლიტიკას, ეს ყველასათვის გასაგები და ლოგიკურადაც მისაღები იყო და გასაოცარი უმიდესტ სინოდის სწორედ წინააღმდეგი მიმართულება იქნებოდა! მაგრამ ვერც რევოლუციამ, ვერც სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრების ძირითად გარდაქმნამ აიძულებინა რეაქციონერულ დღეს და წინდებულებას ხელი აეღოთ, იგი დღესაც პირნათლად ემსახურება [illegible] [illegible] ქადაგებას მართლმორწმუნეთა.

...თვის თავად ცხადია, რომ სინოდისგან ჩვენ სურვილით არ მოველოდით საქართველოს ავტოკეფალი ეკლესიის აღდგენას [illegible] ოპტიმისტობა იქნებოდა, მით უმეტეს რომ მთელი სოფლის [illegible] სინოდი არამც თუ ერთ ჰფიქრობდა [illegible] [illegible] დამოუკიდებლობის შეიძლებლობაზე.

თვითმპყრობელობის დამხობამ სინოდი დააყენა უკვე მიღწეულ ფაქტის წინაშე: საქართველოს ეკლესია მოევლინა საკუთარი სამღვდელოებით, ... მისი ბორკილები დაჰყარა მან და შეუდგა დამოუკიდებელ ცხოვრებას თანახმად ალ მოსაცელით კათოლიკე ეკლესიის წესებისა. მაგრამ რუსეთის რევოლუციის სპეციფიკურ მიმართულების მეოხებით ჩვენი ეკლესია ჯერაც ვერ დაჰპატრონებია თავის კუთვნილებას: ცენტრალი მთავრობა და სინოდი ერთიანეთს ეცილებიან ახლად აღორძინებულ ეკლესიის უფლებების შეზღუდვაში.

როდესაც უმაღლესი მართველობა ახლა ამა თუ იმ განკარგულებებს ეკლესიის უფლებრივ მდგომარეობის გამორკვევის შესახებ და აქვეყნებს სახელმწიფო მნიშვნელობის აქტებს, ამას დღევანდელ პირობებში ანგარიში გაეწევა, მაგრამ, როდესაც ამგვარივე ხასიათის აქტებს აცხადებს ის ორგანო, რომელიც თავად დაინტერესებულია საკუთრების ერთგვარ გადაწყვეტაში, ამას სალი აღმაშფოთებლად აზროვნების სისტემა ვერ შეურიგდება.

მკითხველებს ეხსომებათ, რომ პეტერბურგის მთავრობას განზრახვა ჰქონდა დღემდე წოდებული გაბატონებულ კომისიის მოწვევა, რომელსაც დაევალებოდა ქართული და რუსის ეკლესიის ქონების გამორკვევა და გაყოფა. მათ შორის; სამწუხაროდ მინისტრმა კარტაშევმა, მგონია, კიდევაც შეადგინა ეს კომისია პროფესორ ... ... ნოლდეს თავმჯდომარეობით, მაგრამ ბოლშევიკების აჯანყებამ, ალბად, ხელი შეუშალა კომისიის მუშაობას, ყოველს შემთხვევაში მის არსებობაზე არავითარი ცნობა არ მოგვსვლია, თუმც უნდა აღინიშნოს, რომ ამ კომისიის დადგენილებანი ჩვენი ეკლესიისათვის სავალდებულოდ ვერც ჩაითვლებოდა, ვინაიდგან მინისტრი კარტაშევი თავის დროზე ეცნობა, რომ საქართველოს ეკლესიის მართველობა არ მიიღებს მონაწილეობას კომისიის მუშაობაში ... ... გზით, რომ საზოგადოდ ... ... ჩვენი ეკლესიის შესახებ, არც კი და თვით „ვადიამ“ კონფერენციაც იყოფება თბილისში.

ახლა, თვით უმართებულესი სინოდი უკისრია გამიჯვნელ კომისიის ... ... მიუხედავად იმისა, რომ ... თვის, როგორც ... ... რისათვის, ყოვლად შეუფერებელია; ამ რამოდენიმე დღის წინად ყოფილ სასინოდო კანტორას მოუვიდა სინოდის „უკაზი“, რომელსაც მიზნად დაუსახავს „კავკასიის საექზარხოსოში საქმეების კვალ. ლმოღვაწეობა“, რადგანაც „სამღვდელოები ქართველი ნაწილი საექზარხოსოში არ ემორჩილება უმაღლეს სასულიერო მთავრობას რუსეთის სახელმწიფოში“.

უკაზი შეიცავს 15 პუნქტს, მაგრამ მათ განხილვას თვითეულად აქ არ შევუდგებით, რადგანაც დეტალებს რომ გამოვსტოვოთ, დედა-აზრი მთელი უკაზისა საზოგადოთ ნათელია: სინოდი აწყობს რუსის ეკლესიის საქმეებს საქართველოში ჩვენი ეკლესიის ხარჯით, მას განუზრახავს „ქართველ მოძღვართ“ რუსის საექზარხოსოდ და გაძარცვოს საქართველოს საკათოლიკოზო... სინოდს, როგორც სჩანს უკაზიდან, ვერ შეუგნია ის ცვლილებანი რუსეთის ცხოვრებაში, მას გამოუტოვებია მთავარი მოვლენა რევოლუციური ხასიათისა, თითქმის წარმოუდგენელია, რომ უწინდელს რუსის საეკლესიო ორგანო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურად გამოცხადებას სცნობდეს, როგორც ქართველი სამღვდელოების ურჩობას „უმაღლეს სასულიერო მთავრობისადმი რუსეთის სახელმწიფოში“. სინოდის აზრით, ქართველებმა მიიტაცეს რუსის საეკლესიო ქონება და მათ შორის თვით სიონის საკათედრო ტაძარი. ამ შეურაცხყოფელ ძალმომრეობას იგი ურიგდება, მაგრამ ქვემოდ მე-7 § აცხადებს, რომ ქართველებმა უნდა შეისყიდონ ქონება, რომელიც ფაქტიურად ჰფლობენ,

ყოფილი საექსარხოსო სასახლე, სასინოდო კონტორა, სასულიერო სემინარიის ძველი შენობა და სხვა. ამბობენ მოსკოვში ღამ-ღამობით უცნაური ფაქტი ხდება: ბნელ ქუჩებში გამვლელნი საკუთარ ტანისამოსს ჰყიდულობენ და თანაც ახალი ტიპის სოვდაგრებისაგან ბარათებსაც ღებულობენ, რომ შემდეგისათვის გარანტია ჰქონდეთ: უწმიდესმა სინოდმა რუსეთის რევოლუციიდამ ნუთუ მხოლოდ ეს გაკვეთილი გამოიტანა, ნუთუ მოსკოვის „ბაზებისა"-სებრი აპირობს კვიტანციის მოცემას, რომ ჩვენი კუთვნილება ჩვენვე შევისყიდოთ?

ამ ფაქტიდანაც ცხადია, რა სუნი უდის დანარჩენ პარაგრაფებს ამ სამაგალითო უქაზისას. რასაკვირველია, საქართველოს ეკლესია სათანადო პასუხს გასცემს სინოდს: საკათოლიკოზო მართველობა შეხვდავს ამ დოკუმენტს, როგორც შემოდგომის მომაკვდავ ბუზების ნამუშავარს და უყურადღებოთ დასტოვებს. სინოდის შხამი ვეღარ მოსწამლავს ივერიის ეკლესიის სხეულს: აღდგომილი და დამოუკიდებელი ჩვენი ეკლესია იმედით უცქერის მომავალს და ზიზღით შეაქცევს ზურგს ყველა ამგვარ ფუჭყიან გამოსვლას, თუნდაც მას „უქაზის" სახელი ეწოდოს.

რ. ინგილო.

ჯარების ნაციონალიზაცია

ბოლშევიკების გამარჯვებამ რევოლუცია განსაცდელში ჩააგდო: ერთს უკიდურესობას თან მოსდევს მეორე უკიდურესობა.

ის სალდათები, რომელნიც ქუთაისის „ბურჟუებს" არბევენ, დარწმუნებული იყვნენ, სოციალიზმს ვემსახურებითო, მაგრამ, ვინ არ იცის, ნამდვილი კონტრ-რევოლუციონერები რომ იყვნენ.

დაღლილ რუსეთში დიდია ჯერ სიბნელე და კონტრ-რევოლუციას კარგი ნიადაგი აქვს. ამასვე უწყობს ხელს ეკონომიური მოუწესრიგებლობა, ფრონტის გატეხვა, შიმშილი, სიცივე და სხვ.

კონტრ-რევოლუცია უკვე დაიწყო, რეაქცია თავს დაგვეხვევა.

სად არის ხსნა? ხსნა ჯარის ნაციონალიზაციაშია. ქართველი ჯარი საქართველოში, სომეხთა ჯარი სომხეთში, უკრაინელთა ჯარი უკრაინაში, მოლდაველთა ჯარი ბესარაბიაში კონტრ-რევოლუციას არ გაამარჯვებინებენ. უცხო ჯარი უცხო ქვეყნებში, რომლის ზნე-ჩვეულებანი და ენაც მას არ ესმის, კონტრ-რევოლუციის საუკეთესო იარაღია.

ამიტომ, ვისაც სურს რეაქცია თავიდან აიცდინოს, ხელი უნდა შეუწყოს რუსის ჯარის რუსეთში გადაყვანას.

რაც შეეხება საქართველოს, უეჭველია, მის ბედს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ამიერ-კავკასიის, არამედ მთელი რუსეთისათვის: აქ თუ კონტრ-რევოლუციამ გაიმარჯვა, კონტრ-რევოლუციონური ჯარები შემდეგ მთელ რუსეთში ჩააქრობენ რევოლუციის ცეცხლს: საქართველო ერთსა და იმავე დროს რევოლუციის ავანგარდიც არის და ამიერ კავკასიის ცენტრიც.

მაშ, ამიერ-კავკასიის კომისარიატი მოვალეა განსაკუთრებული ყურადღება სწორეთ საქართველოს მიაქციოს და ქართული ჯარის შედგენა დააჩქაროს.

მაშასადამე, მან რევოლუციის განმტკიცებისათვის ქართველი მხედრები ყველა ფრონტიდან უნდა გამოიწვიოს. დიაღ! ამას მარტო საქართველოს ეროვნული ინტერესი კი არა, უპირველესად ზიარი საქმე, რევოლუციის უზრუნველყოფის აუცილებლობა თხოულობს.

მაშასადამე, ამიერ კავკასიის კომისარიატის მოვალეობას უნდა შეადგენდეს ჯარების ისეთი გადაჯგუფება, რომ თვითეულ ტერიტორიაზე ნაციონალური ჯარი შეიკრიბოს.

ეს იქნება ერთად ერთი საშუალება კონტრევოლუციის წინააღმდეგ.

გახიდ წერეთელი.

ომი და ზავი

აღმოსავლეთის ფრონტი.

პალესტინაში.

გენერალი ალლენბი იუწყება, რომ ჩვენი ლაშქარი ახლა იერუსალიმის და იაფფის შუა იმყოფება. ინგლისის სამხედრო წრის მაღალმნიშვნელოვანი პირი აცხადებს, რომ დავიპყრით ჰინდენბურგის ხაზი 7 ეჯის მანძილზე. რაც შეეხება პალესტინის კომპანიას, დიდი დაბრკოლებები იყო სინას უდაბნოში. იერუსალიმში ეგვიპტეს წყალს ჰსვამენ.

იტალიის ფრონტზე მდგომარეობა ამ ჟამად საიმედოა.

იაპონელების გადმოსხმა ვლადივოსტოკში

იუწყებიან, რომ იაპონელების ვლადივოსტოკში გადმოსხმა არავითარ მტრულ განწყობილებით არ არის გამოწვეული. მათი გადმოსხმა ადგილობრივ ამბების გამო მოხდა.

დასავლეთის ფრონტი.

ინგლისის ფრონტი.

ინგლის-რუსეთის კომიტეტის განკარგულებით ცნობა მოგვივიდა: გენერალი ბინგი, ბიულეკურთან მომხდარ ბრძოლის შესახებ (29 ნოემბ.) იტყობინება: საარტილერიო მზადების შემდეგ მტერმა ორჯერ იერიში მიიტანა. მტერი დაზიანდა, მდგომარეობა უცვლელია.

ზღვაზე.

ინგლისის სადმირალო იუწყება, რომ ჩვენი ჰიდროპლანები დაესხნენ ბრიუჟენს. ერთი ჩვენი აპარატი არ დაბრუნებულა. ჩვენ ერთი ჰიდროპლანი დავუზიანეთ მტერს.

ზავის გარშემო

ინგლისის პარლამენტში

სტოკჰოლმი. ნოემბრისთვის 21. თემთა პალატა. დეპუტატ რიჩარდ ლამბერის შეკითხვა: მიიღოს თუ არა მართლა საფრანგეთმა ომის დასრულებისას, თანახმად ფრანგ-რუს-ინგლისელთა შეთანხმებისა (8—21 თებერვალი 1917 წელი)—ასურეთის სანაპიროები ადანის ვილაეთი და მცირე სომხეთის ნაწილი? ხომ არ უნდა მიიღოს რუსეთმა: არზრუმი, ტრაპიზონი, ბითლისი, ვანის ვილაეთები და ქურთისტანი? მიზნად აქვთ დასახული მოკავშირეთ თუ არა ომის გაგრძელება სანამდე ზემოხსენებულ მიზნებს არ მიაღწევენ? სესილმა განაცხადა, რომ 1917 წლის მეორე ნახევარში, სახელმწიფოთა შორის შეთანხმება მცირე აზიის შესახებ, სრულებითაც არ ჰგულისხმობს ანექსიას.

შემდეგ მოჰყვა დეპუტატ ოზუეტის შეკითხვა: იტყობინებდა თუ არა ინგლისის მთავრობა კერენსკის საელჩოს, რომ რუსეთის მდგომარეობა აიძულებს მოეთხოვოს მას სწორე ანგარიში გაწეულ დახმარებისა? სესილმა უპასუხა: მუხანოვს ჰქონდა მიწერილობა, დავალებით მოეთხოვა რუსეთის მთავრობისაგან მოწესრიგება და რეორგანიზაცია რუსეთის სამხედრო და ეკონომიურ ძალებისა. მას უნდა განეცხადებინა, რომ ამუნიციის მიწოდა არ იქნება უთავბოლო, რომ ის დამოკიდებულია მაზედ თუ როგორ პრაქტიკულად გამოიყენებენ მას (ტაში). დეპუტატი ოზუეტი: ხომ არ მიაყენა ამან რაიმე ზიანი კერენსკის, რამდენადაც ეს შეეხებოდა რუსეთის შინაურ საქმეებს. სესილი: მე ამას არ ვფიქრობ. მთავრობამ უნდა გადასინჯოს მოკავშირეთა ინტერესები, როგორც ერთი ამ მთლიანი (ტაში). ოზუეტი: იყო თუ არა მოკავშირეთა და იტალიის შორის ნამდვილი შეთანხმება, როცა კერენსკის მთავრობას ეცნობა, რომ მისი საზავო მისწრაფება უანექსიოდ, წარმოებდა მთავრობის მისწრაფებასთან შეთანხმებით? სესილი: საუკეთესო პასუხია ამის შესახებ ინგლისის მთავრობის განცხადების გამოქვეყნება რუსეთის მთავრობისადმი—აპრილის 20—1917 წელს. და ეს შესრულებულიც იქნება.

ზავი გერმანეთთან

მოლაპარაკება ბრესტლიტოვსკში.

გერმანეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა კიულმანმა და ავსტრიისამ ჩერნინმა დეპეშით შეატყობინეს, რომ ქრისტეშობისთვის 5-ში ბრესტლიტოვსკში საზავო მოლაპარაკებაზე მოვლენ. ტროცკის ბრესტლიტოვსკში იწვევენ. მათ სურთ რომ თათბირს საზავო კონფერენციის სახე მისცენ. ტროცკის განცხადებით, ზავზე მოლაპარაკება რომ ჩაიშალოს რუსეთი სეპარატიულ ზავს მაინც შეკრავს.

მოლაპარაკების მსვლელობა

ბრესტლიტოვსკში მოლაპარაკება ნოემბრისთვის 30-ს დილის 11 საათზე დაიწყო. შეეხნენ 8 პუნქტს: ჯართა გადაყვან-გადმოყვანა, საზღვაო საკითხი, თანამშრომლობის პირობები. ჯართა ნაწილების გადაყვან-გადმოყვანის შესახებ გერმანელები მეტს ფორმულის იზარებენ, საზღვაო საკითხში ცოტაოდენი დაუთმეს. დანარჩენების პუნქტი მთლად შეიცვალა.

პროვინციაში

როსტოვის ამბები

დონით, 26 ნოემბრისთვის, როსტოვში ბოლშევიკების გამოსვლა დაიწყო. 26-დან გადრე 30-მდე.

[illegible] ერთის შორის იუნკერების და კადეტების და მეორეს წითელ გვარდიელების და მეზღვაურების შორის. ყაზახები ჯერ არ იღებდნენ მონაწილეობას, მაგრამ [illegible] იქით, [illegible] ტანისამოსით მოიღწიეს, მოხვდნენ წითელ გვარდიელების წინააღმდეგ დაიწყეს მოქმედება არტილერიის შემწეობით. 29 ზა, [illegible] მოლაპარაკებაში იმიტომ ქალაქის [illegible] ხელმძღვანელობის [illegible] და მეცამეტე წარმომადგენლობა. მოლაპარაკება ვერ გათავდა, იგი დაარღვიეს [illegible] წითელგვარდიელების მიერ.

კალედინმა განაცხადა, რომ მას არა სურს არავითარი ფულების და [illegible] ხელში ჩაგდება. [illegible] ბოლშევიკებს როსტოვში და მოითხოვა, რომ წითელ გვარდიელებმა იარაღი დაეყარათ და [illegible]. 30-ს ომი გაგრძელდა. [illegible] არავითარი სროლა არ მომხდარა. იმართება მოლაპარაკება ტელეგრაფით, 26 ს დანიშნულია შერეული ყარაული ყაზახებისა და ბოლშევიკებისა. 28-ში ყაზახებმა შეიპყრეს ბოლშევიკები: დანიშნულია კომისარი, რომელსაც არავითარი უფლება არ [illegible] ტელეგრაფის საშინაო საქმეებში გარევის.

ყაზახებმა რკალი შემოარტყეს როსტოვს და არტყეს ბოლშევიკები. ბოლშევიკების მთავარსარდალი აღიარებს რომ მან ვერ იკისრა ჯარის ხელმძღვანელობა [illegible] დემორალიზაციის. ნახიჩევანში ბოლშევიკები ყაზახების შიშით დაიმალნენ და იარაღი დაჰყარეს. ზოგიერთი წითელგვარდიელი გადაიბირებული იბრძოდა. გარნიზონმა ყაზახები მშვიდობით მიიღო. დანიშნულია: [illegible] იარაღი დააყრევინეს [illegible] კომისარი, რომელმაც განაცხადა, რომ მიხსნის სამხედრო წესებს.

ოდესაში

ქრისტეშობისთვის 3 ს წითელგვარდიელებსა და უკრაინელებს-შორის შეტაკება მოხდარა. მოუკლავთ წითელგვარდიელების უფროსი და 30 კაცი. გაზეთები არ გამოსულა.

მდგომარეობა იადრინში

იადრინში მდგომარეობა დაიძაბა. [illegible] შეიარაღებულნი [illegible] პატრონს ელის.

ბოლშევიკების დიქტატურა

პეტროგრადში

გილიოტინის შემოღება

ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე ტროცკის მუქარით განცხადებით — ერთი თვის შემდეგ გილიოტინა იქნება შემოღებული.

კადეტების ხალხის მტრებად შერისხვა

ცენტრალ აღმასრულებელმა კომიტეტმა 150 ხმით წინააღმდეგ 104-სა მოიწონა ბოლშევიკების ახალი დეკრეტი, რომლითაც კადეტები ხალხის მტერთა შორის ირიცხებიან.

ხმები ნიკოლოზის გაქცევის შესახებ

ერთ ხანს მეტად გახშირდა ხმები ნიკოლოზის გაქცევის შესახებ. ეხლა ნამდვილი წყაროებიდან იტყობინებიან, ხმები ნიკოლოზის გაქცევის შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამებიან.

ფინანსების სამინისტროს მოხელეთა შეპყრობა

ფინანსების სამინისტროს მოხელეთა თათბირზე მოასწრეს და შეიპყრეს შატილინი, სკვორცოვი, ტეტინი და ვეელმანი. გაეცა ბრძანება გლაცისა და ავქსენტიევის შეპყრობის შესახებ.

უარი უცხოელთა სესხზე

სახალხო კომისრების საბჭომ გადასწყვიტა უარი განაცხადოს ყველა უცხო სახელმწიფოების რუსეთის მიერ აღებულ სესხზე. ბოლშევიკები ამ ზომას მიმართავენ მაშინ, თუ მოკავშირენი ბოლშევიკების მიერ დაწყობილ საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობაზე უარს განაცხადებენ.

ხმები კამჩატკის გაყიდვის შესახებ

პეტროგრადში ხმები დადის ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს ამერიკას კამჩატკა მიჰყიდონო. ტროცკის ამერიკის სამხედრო აგენტ ჯადსონთან ამის შესახებ უკვე მოლაპარაკება ჰქონდაო. ამერიკამ ტროცკის წინადადებაზე ცივი უარი განუცხადებიაო.

ნამეფარის დაცვა

ტომსკიდან იტყობინებიან: ციმბირის საოლქო საბჭომ დაადგინა არ გაუშვას პეტროგრადიდან ტობოლსკში მიმავალი მეზღვაურთა ეშელონი, რომელსაც განზრახული ჰქონდა ნამეფარის ოჯახის დაცვა ეკისრა.

მოსკოვში

რკინის გზის კავშირის გადაწყვეტილება

სრულიად რუსეთის რკინის გზის მოსამსახურეთა კავშირმა გადასწყვიტა რომ მან თავისი წარმომადგენელი იყოლიოს სახალხო კომისრების საბჭოში. რკინის გზის წარმომადგენელი გზათა სამინისტროს კომისრად იქნება. ამ თანამდებობაზე უმთავრესობა გარენინს ასახელებენ.

ნოე ჟორდანია და სოციალიზმის ნაციონალიზაცია

არსენალის გარშემო ატეხილი ბრძოლა დაცხრა, მაგრამ ჯერ კიდევ გრძელდება კამათი თბილისის ბოლშევიკურ და მენშევიკურ გაზეთებს შორის. ეს კამათი ერთგვარი გამოძახილია იმ დიდი სამოქალაქო ომისა, რომელიც რუსეთში დაიწყო ლენინის ჩამოსვლის შემდეგ. მაგრამ, რადგან რუსეთსა და ჩვენ სამშობლოს შორის მაღალი ქედია აღმართული, ჩრდილოეთიდან წამოსული ტალღა ნელდება და, ცოტა არ იყოს, მიმართულებასაც იცვლის.

ქართველ და რუს მენშევიკების კავშირი ყოველთვის უფრო ორგანიზაციული იყო ვიდრე იდეური. ერთი და იგივე სახელწოდება ღრმა შინაგან წინააღმდეგობას ჰფარავდა. ქართული მენშევიზმი ქართული მესამე დასის ნიადაგზე აღმოცენდა. მესამე დასი კი ქართველი ერის ორგანიული განვითარების ნაყოფი იყო. გიორგი წერეთლისა და ეგნატე ნინოშვილის შემწეობით ეს რევოლუციური მიმართულება საქართველოს სულიერ კულტურასა და ისტორიულ ტრადიციებთან იყო დაკავშირებული, ბ. ნოე ჟორდანიას შემწეობით ქართული სოციალისტური ინსტიქტი დასავლეთ ევროპის მარქსისტულ იდეოლოგიას შეეუღლა. ეს მოხდა უფრო ადრე ვიდრე რუსეთში მომავალი მენშევიზმის ლიდერები, უხერხემლო ანუ „რბილტანიანი" ადამიანები, მარტინოვები, მარტოვები და დანები გამოჩნდებოდნენ.

თავისი ტემპერამენტით, განათლებით და აზროვნების მეთოდით ბ-ნი ნოე ჟორდანია გერმანელ და ფრანგ სოციალისტებთან უფრო ახლო იდგა ვიდრე რუსებთან. ქართველი პუბლიცისტის ნაწერებში მრავლად მოიპოვება სტრიქონები, რომელნიც სტილის სილამაზით და აზრის სიცხოველით ლიბკნეხტის, მერინგის, ლაფარგის ან ჟორესის ნაწერებს წააგავნან. არც დიალექტურ ვარჯიშობაში გაწვრთნილ პლეხანოვს, არც ცეცხლითა და წაკატით აღჭურვილ ლენინს არ შეეძლო ამგვარი სტრიქონების დაწერა.

გვგონია, რომ ლაღი ქართველი გულისტკივილით შევიდა რუს სექტანტების ვიწრო სენაკში. ეს მოხდა 1903 წელს, ლონდონის ყრილობაზე, სადაც ქართველი სოციალ-დემოკრატია პროგრამულადაც და ორგანიზაციულადაც საბოლოოდ შეუკავშირდა რუსის სოციალ-დემოკრატიას. ამავე ყრილობაზე მოხდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გათიშვა ბოლშევიკებათ და მენშევიკებათ. აქედან იწყება ჩვენი მესამე დასის გადაგვარება, მისი გათქვეფა რუსულ უსახო და უფორმო ოპორტუნიზმში. ერთს დროს ამ ხალხმა თითქმის სრულიად დაივიწყა საკუთარი ტრადიციები და რუსულ ებრაული ჟარგონი შეითვისა. გადაგვარების პროცესმა არ დაინდო თვით ბ-ნი ნოე ჟორდანია. სექტანტურმა ქინიანობამ დაჩრდილა მისი ნათელი აზროვნება, მენშევიკებისა და ბუნდისტების გავლენამ მას ნაკლებ სასიქადულო სტრიქონები უკარნახა ფედერალისტებისა და ტერიტორიული ავტონომიის იდეის წინააღმდეგ.

რუსული სოციალიზმის გაკოტრებამ და დაშლამ ხელი შეუწყო ქართველი მენშევიკების თვითგამორკვევას, მათ მიბრუნებას საკუთარი წარსულისა ე. ი. მესამე დასის ტრადიციებისკენ. აღმოჩნდა, რომ ევროპიული კულტურის ელემენტები შედარებით ცოტაა რუსულ სოციალიზმში. პლეხანოვმა და ლენინმა ერთი და იგივე მისტიური სლავიანოფილური სული გამოაშკარავეს, მხოლოდ პირველმა ამ სულს უფრო იმპერიალისტურ-ლიბერალური გამოხატულება მისცა, მეორემ უფრო იაკობინურ-კომუნისტური. არსებითად ორივენი რუსეთის გაფართოვებისთვის იცნებობენ. მხოლოდ პლეხანოვს უცხო ტერიტორიების ანექსია სწყურია, ლენინს კი უცხო იდეებისა და სულიერი კულტურისა.

მაგრამ რუსეთის სოციალ-დემოკრატის კრიზისი კატასტროფულად გარდაიქცა მენშევიკური ფრაქციისათვის. ამ ფრაქციამ სრულიად ვერ გაამართლა რუსის ხალხის ნდობა, ვერ გამოიჩინა ვერც თაოსნობა და ვერც შემოქმედების ნიჭი და შვიდი თვის უნაყოფო ბჭობის შემდეგ ნირვანაში ჩაესვენა. ნოე ჟორდანიას გულწრფელობასა და ინტელექტურ გამბედაობას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ სწორედ დაინახა და საჯაროდ აღიარა რუსული სოციალისტური დემოკრატიის გაკოტრება. ამით მან საკუთარი გზები უჩვენა ქართველ სოციალიზმს. სხვებს ამისთვის ან სითამამე აკლდათ ან გამჭრიახობა. და თუ არ ვცდებით, ბ. ი. წერეთელი დღესაც მგლის თავზე სახარებას ჰკითხულობს ქალაქ პეტროგრადს, ჩინიზელის ცირკში.

როგორც იდეური ბელადი ბ. ჟორდანია, რასაკვირველია, წინ უძღვის თავის პარტიულ ლაშქარს, მაგრამ მისი პირადი ევოლუცია არსებითად მთელი ქართველი სოციალ-დემოკრატიის ევოლუციაა. მსოფლიო ომი და რუსეთის რევოლუცია კარგი სკოლა იყო ამ ხალხისათვის, მათ თანდათან ისწავლეს საკუთარი თვალებით ცქერა და საკუთარი ფეხებით სიარული. თუმცა ბოლო დრომდე თავიანთ თავს მენშევიკებს უწოდებდნენ, მაგრამ არსებითად აღარ აწარმოებდნენ ნამდვილ მენშევიკურ პოლიტიკას. ჩვენი სამშობლოს სინამდვილემ ნელნელა გაალხო მათი გაყინული დოგმები, მათმა საზოგადოებრივმა ტემპერამენტმა თავის მხრით გაარღვია რუსული სოციალისტური ოპორტუნიზმის ვიწრო ჩარჩოები. ორს მნიშვნელოვან პუნქტში, სახელდობრ ზავისა და ძალა-უფლების საკითხში ქართველი სოციალ-დემოკრატები დაშორდნენ რუს-მენშევიკებს, პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირზე იმ განზრახვით გამოვიდნენ, რომ დაუყოვნებლივ მშვიდობიანობის ჩამოგდება და მთელი ძალა-უფლების რევოლუციონური საბჭოების ხელში გადაცემა მოეთხოვნათ. დიდად საყურადღებო და დამახასიათებელია, რომ ეს ორი მოთხოვნილება მიღებული იყო არა მარტო ქართველ სოციალ-დემოკრატებისა, არამედ მთელი ინტერპარტიული საბჭოს მიერ. რასაკვირველია, ეს ერთგვარი კომპრომისი იყო, ერთგვარი თვითგანწირვა ქართველი ზომიერი ელემენტების მიერ. რუსეთში ამგვარი კომპრომისი ყოვლად შეუძლებელია. იქ არა თუ ზომიერი ელემენტები და სოციალისტები, თვით ეს უკანასკნელნიც კი ვერ შესთანხმდნენ ურთიერთშორის ზავისა და ძალა-უფლების საკითხის შესახებ. ეს იმით აიხსნება რომ კლასობრივი და წოდებრივი წინააღმდეგობები უფრო მძაფრი და გარდაუვალია რუსეთში. ლენინსა და მილიუკოვს შორის ისეთი უფსკრულია, როგორიც არ შეიძლება არსებობდეს ბ-ნ ნოე ჟორდანიასა და ბ-ნ ნიკო ნიკოლაძის შორის. ჩვენში შეიძლება კულტურული მესიანიზმის ელემენტები მოიპოვებოდეს, მაგრამ არ არის იმპერიალისტური ბურჟუაზია. ქართველი ერის კულტურულ მისიას კი აშკარად სცნობს არა მარტო ეროვნული დემოკრატია, არამედ სოციალ-დემოკრატიაც, და, თუ მახსოვრობა არ გვღალატობს, თვით ბ. ნოე ჟორდანიამ რამდენიმე მკვეთრი სიტყვა სთქვა ამის შესახებ. მსხვილი აგრესიული ბურჟუაზიის უყოლობას ზედ ერთვის ქართველი თავად-აზნაურობის დაშლა და გათქვეფა ქართველ დემოკრატიაში. ამ წოდებამ უარი სთქვა თავის პრივილეგიებსა და თავის კოლექტიურ ქონებაზე წყნარად და უბრძოლველად, როგორც ეს მეტის მეტად სისხლნაკლებ და მეტის მეტად მოქანცულ არიებს შეეფერება.

გაერთიანებულმა ქართველმა დემოკრატიამ თითქმის უმტკივნეულოდ ჩაიბარა წარსულ საუკუნეების მემკვიდრეობა. მას მეტოქე არა ჰყავდა საკუთარ ოჯახში. ასეთ პირობებში სამოქალაქო ომს ნიადაგი არა აქვს საქართველოს მიწა-წყალზე. კიდევ მეტ: ქართველმა ხალხმა ნეიტრალიტეტი უნდა დაიცვას იმ სამოქალაქო ომში, რომელსაც რუსეთი აწარმოებს. სხვა არა იყოს რა, ამას თავდაცვის ელემენტარული პრინციპიც გვავალებს: ჩვენი ბიოლოგიური ენერგია განაწამებულია და ჩვენ არ შეგვიძლია ისეთი ხანგრძლივი კრიზისების ატანა, რომელსაც ადვილად გაუძლებს ას მილიონიანი ხალხი. ეს ჭეშმარიტება სწორეთ აღნიშნა თვით ბ. ჟორდანიამ საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე.

მაგრამ თუ ჩვენ სხვების შინაურ პოლიტიკაში აღარ ვერევით, არც სხვებმა უნდა ჩაერიონ ჩვენს ოჯახურ საქმეებში. ამიერიდან საქართველოში ფაქტიურად აღარ არსებობს მენშევიკური ფრაქცია რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა. მისი ადგილი ქართულმა მესამე დასმა დაიჭირა. ანტიკვარიატის სიყვარულის გამო ამ ხალხმა [illegible] ძველი რუსული ეტიკეტი. ეს გარემოება ოდნავაც ვერ დაჰფარავს შინაარსის ცვლილებადობას. უკანასკნელ [illegible] ჩვენებში პირველი ნომერი ნამდვილი ქართული ნომერი იყო. საქართველოს გარეშე [illegible] არ ჰქონია; თვით ბაქოში ბ. ჟორდანიასა და წერეთლის სიამ მხოლოდ ხუთი ათასი ხმა შეკრიბა.

მაგრამ თუ ჩვენი მენშევიზმი გარდაიცვალა, ამიერიდან აღარც ბოლშევიზმი უნდა არსებობდეს საქართველოში. ეს ორი იდეური მიმართულება თეზისი და ანტითეზისია, ერთი მათგანის მოსპობა აუცილებლად გულისხმობს მეორის მოსპობასაც. განახლებული მესამე დასი ნამდვილი სინთეზისი იქნება ლოგიკურადაც და ფაქტიურადაც. მართლაც ჩვენ ვხედავთ რომ ამიერ კავკასიის მთავრობის ქართველი წევრები დღეს აწარმოებენ არა მენშევიკურ და არა ბოლშევიკურ, არამედ ინდივიდუალურ დემოკრატიულ პოლიტიკას. ეს პოლიტიკა წინდახედულად ეხება როგორც ზავის, ისე პოლიტიკური და სოციალური რეფორმების საკითხს. არც რუსი ბოლშევიკების ლიდერს ლენინს, არც რუსი მენშევიკების ლიდერს წერეთელს არ შეუძლია საქმეებით ასეთი პოლიტიკის მიღება. მაგრამ მას იცნობს მთელი ქართველი ხალხი და ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რასაკვირველია.

ასეთ პირობებში რუსის ბოლშევიკებს აღარ შეუძლია იდეური ბრძოლის წარმოება ქართველი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ. მათ წინაშე სდგას არა ძველი ფრაქციული მოწინააღმდეგე, არამედ სხვა ერის სოციალისტი. რასაკვირველია თბილისელ რუსის ბოლშევიკებს შეუძლიათ ბრძოლა ეროვნულ ნიადაგზე გადაიტანონ და ქართველ მუშებსა და სოციალისტებს რუსის ჯარის კაცები მიუსიონ. ამის ნიშნები სჩანს კიდეც: ზოგი უპასუხისმგებლო აგიტატორი და პუბლიცისტი ბოლო დროს ჭეშმარიტ რუსების მიერ დატოვებულ ტრადიციებს აცხოველებს: [illegible] კიდეც გაისმის [illegible] ქართველების [illegible].

თუ ბრძოლამ ასეთი მიმართულება მიიღო, ქართველი განათლებული და ზომიერი საზოგადოება აღარ აქვს უფლება ნეიტრალიტეტი დაიცვას. ეს აღარ არის რუს ბოლშევიკებისა და მენშევიკების შეტაკება, ეს რუსული [illegible] ქართულ სოციალიზმზე. ეს უკანასკნელი კი ერთი აუცილებელი შემადგენელი ელემენტია [illegible] ქართული კულტურისა. მით უმეტეს რომ [illegible] სოციალიზმი [illegible] ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილის მრწამსს ან ოცნებას წარმოადგენს.

საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე ქართველმა საზოგადოებამ თითქმის ხელახლა აღმოაჩინა თავისი პუბლიცისტი და ტაში დაუკრა მას [illegible]. ამ დღეს ბ. ნოე ჟორდანია მართლაც მთელი ქართველი ერის მეთაური იყო. [illegible] ეს ამბავიც გრძნობდეს, რომ ადრე თუ გვიან [illegible] 1917 წლის ნოემბრის დღეებში [illegible] ის სიმაღლეზე, რომელზედაც საქართველოში შეიძლება არავინ ასულა ჩვენი [illegible] მახსოვრობაში. ეს მაშინ მოხდა, როცა ბ. ნოე ჟორდანიამ ეროვნული ყრილობის წინაშე განაცხადა, რომ ქართველი ერის სხეული გამრთელდა და დაიწყო დიდი ეპოქა თავისუფლებისა.

გერონტი ქიქოძე.

დამფუძნებელ კრების გარშემო

გლეხთა ყრილობის რეზოლიუცია.

სრული ღ რუსეთის გლეხთა ყრილობამ მიიღო სოციალისტ-რევოლიუციონერთა რეზოლიუცია, რომლითაც უნდობლობას უცხადებენ სახალხო კომისრების საბჭოს და მოითხოვენ დამფუძნებელ კრების დაუყოვნებლივ გახსნას.

კრების გარეკვა.

გიორგობისთვის 30-ს შეიარაღებულ მეზღვაურებმა გარეკეს დამფუძნებელ კრების წევრები. ზოგიერთი წევრებზე ძალადობაც იხმარეს.

პროტესტები კრების დაშლის გამო.

მოსკოვში ლიტოვურ ჯარისკაცებმა მიტინგზე პროტესტი განაცხადეს დამფუძნებელ კრების დაშლის გამო. მოსკოვში დიდი დემონსტრაციები იმართება. მოითხოვენ დამფუძნებელ კრების დაუყოვნებლივ მოწვევას. დემონსტრაციას ამყარებს სოციალისტ-რევოლიუციონერები, მენშევიკები და კადეტები. დემონსტრაციაში მთელი მოსკოვი იღებს მონაწილეობას.

ეროვნული საკითხი

თათრების დამფუძნებელი კრება.

უფაში თათრების დამფუძნებელი კრება გაიხსნა. კრებას ბაშკირები და ყირგიზები არ დაესწრნენ. კრებამ დაადგინა: სამხრეთ ურალის შუა ვოლგის შტატის შექმნა, სადაც შევლენ უფას, ყაზანის და ორენბურგის გუბერნიები.

ბაშკირეთის ავტონომია.

ბაშკირებს განზრახული აქვთ ამ ქრისტეშობისთვეში მოიწვიონ ყრილობა ბაშკირეთის ავტონომიის გამოსაცხადებლად.

პოლონეთის ახალი მთავრობა

2 ქრისტეშობისთვეს, სტოკჰოლმიდან პეტროგრადში ატყობინებენ, რომ პოლონეთში შესდგა ახალი მთავრობა, მემარჯვენე და ეროვნულ დემოკრატების კლასიდან

დამფუძნებელი ყრილობა ლატვიაში

ლატვიაში ეროვნულმა ყრილობამ საბჭომ რეზოლიუცია გამოიტანა, რომლითაც ლატვიას უნდა შეადგენდეს ლიფლანდია, კ. ი. ლიფლანდის, რიგის და ლიუცენის მაზრები (ვიტებსკის გუბ.) ვინაიდან ლატიშებს დიდი განსხვავება აქვთ, ამისთვის მათ ეროვნულმა საბჭომ გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ მოიწვიოს ლატიშელთა დამფუძნებელი ყრილობა.

უკრაინა და რუსეთი

ბონების გამოშვება

ქაღალდის ფულის უქონლობის გამო კიევის ბანკები ბონებს უშვებენ.

უკრაინის ფოსტა-ტელეგრაფში

პეტროგრადი. გიორგობისთვის 25 ცენტრალი უკრაინის მთავარი ფოსტა-ტელეგრაფის კონტორა იუწყება, კომიტეტის საოლქო საბჭომ მიიღო რადის გადაწყვეტილება უკრაინის ფოსტა-ტელეგრაფის დამოუკიდებლად გამოყოფისა. ყოველ ინციდენტში მოსწრებენ

უკრაინის დამფუძნებელი კრება

რადამ მიიღო კანონპროექტი უკრაინის დამფუძნებელ კრების შესახებ. კანონპროექტი დამტკიცებით ასეთია:

უკრაინა იყოფა 10 საარჩევნო ოლქად.

1) კიევის ოლქი. 4.778,275 მცხოვრები გზავნის 48 დეპუტატს.

2) პოდოლია. 3,873,900 მცხოვრები გზავნის 39 დეპ.

3) ვოლინი. 3,055 800 მცხოვრები გზავნის 30 დეპუტატს.

4) ეკატერინოსლ. ოლქი. 3.561 500 მცხოვ. გზავნის 36 დეპ.

5) პოლტავის ოლქი. 3 561,500 მცხოვრები გზავნის 30 დეპუტატს.

6) ხერსონის ოლქი, 3,368,500 მცხ. გზავნის 34 დეპუტატს.

7) ხარკოვის ოლქი (ჩუგუევის გუბერნიის მრავალრიცხოვანის მაზრით) 3,311,7000 მცხოვრები გზავნის 35 დეპუტატს.

8) ჩერნიგოვის ოლქი (კურსკის გუბერნიის პუტივლის მაზრით) 2 816.978 მცხოვრები გზავნის 28 დეპუტატს.

9) ტავრიდის ოლქი (მელიტოპოლის, დნეპროვის და ბერდიანსკის მაზრები) 901,024 მცხ. გზავნის 9 დეპუტატს.

10) ოსტროგოჟის ოლქი (ვორონეჟის გუბ. ოსტროგოჟის, ბოგუჩარის, ვალუისკის და ბირიუჩენის მაზრები და კურსკის გუბერნიის ნოვოსკოლის მაზრა) 1,465,924 მცხოვრები გზავნის 15 დეპუტატს.

სულ დამფუძნებელ კრებაზე 301 დეპუტატი გამოცხადდება.

უკანასკნელი დეპეშები

გამოიცა დეკრეტი კადეტთა მეთაურების შეპყრობის შესახებ. ყველა წევრები და დამფუძნებელნი კადეტთა პარტიისა გამოცხადებულნი არიან როგორც რევოლიუციისა და ხალხის მტერნი. ამიტომ უნდა შეპყრობილ იქმნენ, რათა წარადგინონ რევოლიუციონურ ტრიბუნალის წინაშე. ორდერი ძალაში შედის ხელის მოწერის უმალ.

თავმჯდომარე სახალხო კომისრებისა ლენინი, სახალხო კომისრები: ტროცკი, ავილოვი, სტუჩკა, მანუილოვი, სტალინი, კრილენკო.

ქრონიკა

თბილისი

◆ **ხმები.** ამ დღეებში ხმები გავრცელდა, ვითომ პეტროგრადი გერმანელებმა მშვიდობიანის გზით დაიპყრეს და რეგენტიც დანიშნეს. ამის შესახებ ამიერ კავკასიის დეპუტატთა საბჭოების ცენტრალი აღმასრულებელი კომიტეტის წევრი აცხადებს, რომ ეს ხმები ჯერ დამტკიცებული არ არის და შტაბშიც არავითარი ცნობა ამის შესახებ არ მოსულა.

◆ **თერგ-დაღესტანის დროებითი მთავრობა.** შესდგა თერგ-დაღესტანის დროებითი მმართველობა. საზოგადოებრივ სიმშვიდის კომისრად დაინიშნა პშემახოვ-კოცევი, საგარეო საქმეთა—რაშიდ-ხანი, ფინანსების—მიხეილ ყარაულოვი, სამხედრო საქმეთა—გენერალი თაღიშხანი, სასურსათო—ახმედ დუდაროვი, ვაჭრობის—ასადბეგ ბუტაევი, მრეწველობის—ვალენტინ აბრამოვი, საქმეების საერთო მმართველობის—ჩერქეზიშვილი.

◆ **მიწად მოქმედების სამინისტროს კომისრის** თანაშემწედ დაინიშნენ: ავეტ ქ ტიგრ. შახატუნიანი, პეტრე პ. გელეიშვილი.

— **სასურსათო საქმეების კომისარის** ნაფიც ვექილის თანაშემწე აპუშავან აირაპეტის ძე ტერ-არაქელიანი და სამხედრო დროის მოხელე სერგეი ალექსანდრეს ძე მელიქ-შახნაზაროვი: პირველი—მდივნად, მეორე—საქმის მწარმოებლად.

— **შინაგან საქმეთა კომისარის თანაშემწეებად** არმაის არუთინის ძე ერზინკიანცი და ნაფიცი ვექილის თანაშემწე ალიხან კანტემიროვი.

— **ფინანსთა სამინისტრო საქმეთა** კომისარის საქმის მწარმოებლად დაინიშნა ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი ბაგრატ თათევოსის ძე ტოპჩიანი.

◆ **სამხედრო სასწავლებლის დახურვა.** სამხედრო და პრაპორშჩიკთა სკოლები დახურეს. იმ იუნკრებს, რომელთაც კურსის სამი მეოთხედი გაუვლიათ, პრაპორშჩიკობას მისცემენ, ხოლო რომელთაც არა—მათ 3 თვით დაითხოვენ.

◆ **სესხი საარჩევნო კომისიას.** დამფუძ. კრებისთვის შემდგარ საარჩევნო კომისიას სესხად მიეცა 500 ათასი მანეთი.

◆ **ბანკები და ბოლშევიკური მთავრობა.** თბილისის ყველა ბანკებს აცნობა, რომ სახალხო კომისართა საბჭოსაგან მიღებული ყველა განკარგულება არ იცნობოს ამიერ კავკასიაში ფინანსთა სამინისტროს საქმეთა კომისარის.

◆ **ქალაქთა კავშირის დაწესებულებათა გაუქმება.** ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილებას მიეცა 5 მილიონი მანეთი ლიკვიდაციის მოსახდენად.

◆ **ლოტერეა ქართული უნივერსიტეტის სასარგებლოდ.** პროფეს. ივ. ჯავახიშვილმა, ს. ახვლედიანმა და შ. დადიანმა ამიერ კავკასიის კომისარიატისაგან ნებართვა მიიღეს მოაწყონ 5 მილიონიანი ლოტერეა ქართულ უნივერსიტეტისა, თეატრისა და მსახიობთა კავშირის სასარგებლოდ. ლოტერეა იაფ ფასიანია: თითო ბილეთი ღირება 25 მან.; ბილეთი დაყოფილი იქნება ხუთ კუპიურად (ნაწილად) და თითო კუპიური ღირება 5 მან. უმთავრესი მოგება ბილეთისა 100.000 მან. იქნება, უმცირესი-კი 100 მან. ყველა ბილეთების მოგების ჯამი უდრის 500 000 მანეთს, მოგებას უნაღდებლ ჰყოფს ამიერ კავკასიის ბანკ. ლოტერეის მომწყობ საბჭოში წევრებად შედიან: ქართულ უნივერსიტეტის მხრივ პრ. ივ. ჯავახიშვილი, კ. აფხაზი და ი. ლორთქიფანიძე; თეატრალურ საზოგადოების გამგეობის მხრივ: ი. ზარათაშვილი, შ. მიქელაძე და ს. ახვლედიანი; ქართველ მსახიობთა კავშირის მხრივ—შ. დადიანი, ს. ახვლედიანი და პ. ქავთარაძე.

◆ **სამზადისი ხარჩის მოსაყვანად.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის მიერ შეკრებილ ცნობების მიხედვით, წელს შემოდგომაზე დათესილი მინდვრები მოიხნა თბილისის გუბერნის ყველა მაზრაში, მაგრამ სათესლე მასალის უქონლობის გამო ბევრი მოხნული ადგილები დაუთესავი დარჩა ზაფხულამდე, მაგალითად სიღნაღის და თბილისის მაზრაში, გორის მაზრაში 25 პროც., დუშეთის მაზრაში, 75 პროც.-მდე. თელავისა, ბორჩალოსა, თიანეთისა, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში თითქმის ყველა ნახნავები დაუთესიათ. საერთოდ ყველა მაზრებში დახნულ ადგილებს 30 პროც. მდე დარჩა დაუთესავი. საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს 270 ვაგონი სათესლე ხორბალი და 83 ვაგონი ქერი დაუკავებია გაზაფხულზე დასათესად.

◆ **ღვინის ვაჭრობა თბილისში.** ამ დღეებში მოხდა თბილისელ ღვინის მოვაჭრეთა კრება, რომელსაც საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე ს. დანელიამ გამოუცხადა, რომ წინანდელი დადგენილება, რომლითაც მხოლოდ 29 ფირმას ეძლეოდა ნება ღვინის ვაჭრობისა, გაუქმებულია და, თანახმად ქალაქის მოურავის ნ. ელიავას წინადადებისა, ვაჭრობის ნებართვა ყველა ფირმებს ეძლევათ, მხოლოდ იმ პირობით, რომ მოვაჭრეები ოც ამხანაგობად უნდა შეჯგუფდნენ. ამხანაგობების გარეშე დარჩებიან და დამოუკიდებლად ივაჭრებენ: კახეთის მემამულეთა საზოგადოება „კახეთი“, „საერი“ და საუფლისწულო სარდაფი.

◆ **ნავთის სიმცირის მიზეზი** ის ყოფილა, რომ თბილისისათვის გამოგზავნილი ნავთი სხვა სადგურებზე მისულა.

◆ **ქვანახშირი.** სათბობი მასალის საბჭომ დაადგინა იშუამდგომლოს რომ თბილისში მოეწყოს ტყვიბულის ქვანახშირის საწყობები.

◆ **საქონლის გაზიდვის აკრძალვა.** ამიერ კავკასიის კომისარიატმა აკრძალა ამიერ კავკასიიდან საქონლისა და ტყავეულობის გაზიდვა.

◆ **საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის** თბილისის ცენტრალი კომიტეტი ამით აუწყებს პარტიის წევრთ, რომ მომავალ კვირიდან თბილისში არსდება ეროვნულ-დემოკრატ პროპაგანდისტთა სკოლა. მსურველნი უნდა გამოცხადდნენ მთავარ კომიტეტის ბინაზე სასახლის ქუჩა სახლი № 5. კვირას, ქრისტეშობისთვის 10-ს, საღამოს 6 საათზე.

◆ **ტელეგრაფის მოსამსახურეთა კრება.** თბილისის ტელეგრაფის მოსამსახურეთა ამ დღეებში ითათბირეს იმის შესახებ, რომ ტელეგრაფში დარაჯები არიან შეყვანილი თოფებითა და ტყვიისმფრქვეველებით და დაადგინეს მოითხოვონ, რომ ტელეგრაფიდან გაიყვანონ დარაჯები, ვინაიდან ისინი ხელს უშლიან და აშინებენ მოსამსახურეთ, რომელთა უმრავლესობას ქალები შეადგენენ. მოთხოვნილება თუ დაკმაყოფილებულ არ იქმნა, მოსამსახურენი გაიფიცებიან, კრებას დაესწრო ფოსტა-ტელეგრაფის ახალი კომისარი ბ-ნი მასალკინი.

◆ **ქართველ მწერალთა კავშირის სხდომა.** დღეს, საღამოს 7 საათზე ეროვნულ საბჭოს შენობაში (ფრეილინის ქ. № 11) დანიშნულია ქართველ მწერალთა კავშირის საბჭოს კრება, რომელსაც დაესწრებიან ორ-ორი წარმომადგენელი ქართველ ხელოვანთა საზოგადოების, მსახიობთა კავშირის, საისტ. საეთნოგრაფიო, ფილარმონიულ და მუსიკოსთა საზოგადოების. კრების საგანია მოწესრიგება ხელოვნების სექციის საკითხის ქართულ ეროვნულ საბჭოსთან. მოხსენებას წაიკითხავს შალვა დადიანი.

◆ **ქ. შ. წ. კ. გ. ს. კრება.** კვირას ქრისტეშობისთვის 10-ს დილის 10 საათზე ქართული კლუბის დარბაზში დანიშნულია კრება. კრების საგანია: 50 რწმუნებულის არჩევა და მიმდინარე საკითხები.

◆ **მუსიკალური დილა.** კვირას ქრისტეშობისთვის 10 და $11^1/_2$ საათზე. ქალთა მე 2 გიმნაზიის დარბაზში, დანიშნულია ქართულ ფილარმონიული საზოგადოების მოწაფეთა მუსიკალური დილა.

◆ **კოოპერატივი „შრომა“.** კვირას, 10 დეკემბერს, დილის 11 საათზე, ხაზთუხის საზაფხულო კლუბის დარბაზში (მიხეილის პროსპ.) დანიშნულია კოოპერატიული საზოგადოება „შრომის“ წევრთა საზოგადო კრება. კრების საგანი: საზოგადოების მოქმედების ანგარიში და მიმდინარე კითხვები.

◆ კვირას, 10 ქრისტეშობისთვეს, დილის 11 საათზე, მუშტაიდში, დემოკრატიულ კლუბში, დიდუბის სცენის მოყვარეთა ჯგუფი იწვევს დიდუბის მცხოვრებთა საერთო კრებას, რომლის საგანია დიდუბეში ქართული დრამატიული წრის დაარსება.

◆ „ალიონის“ რედაქცია ამით აცხადებს მკითხველთა საყურადღებოდ, რომ, მისგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო შემდეგი ნომერი ნაცვლად კვირისა, გამოვა მხოლოდ ხუთშაბათს, ქრისტეშობისთვის 14.

◆ **რედაქციამ მიიღო** „წამება წმიდის შუშანიკისა“, ორიგინალური თხზულება იაკობ ხუცესისა, მე 5 საუკ. დაწერილი. ცნობ გარდა საყურადღებოა მითი, რომ მასში—სინამდვილით გადმოცემულია ჩვენი უძველესი კულტურულ-სარწმუნოებრივი ვითარება, სოციალ-პოლიტიკური წყობილება და კერძო საოჯახო ცხოვრება. შიგვე ვხვდებით ძვირფას საისტორიო მასალებს, წიგნში მოთავსებულია: ტექსტი, შენიშვნები და ვარიანტები. გამოცემულია ქუთაისში მთავრიშვილის წიგნის მაღაზიის მიერ, შეიცავს 44 გვ. და ღირს 1 მ.

◆ გაზეთ „საქართველოს მე-267 ნომერში შეცდომით იყო დაბეჭდილი მ. ჯ ნაშვილის წერილი: „კვლავ სროლა“.

◆ **შეწირულება.** კნეინა ეკატერინე დიმიტრის ასულმა ანდრონიკაშვილმა, ქეთევან დიმიტრის ასულმა ჯანდიერმა და ნინა დიმიტრის ასულმა ნაცვლიშვილმა შესწირეს ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს ტიტო ანდრონიკაშვილის გვირგვინის ნაცვლად პირველმა 20 მანეთი, მეორემ 20 მანეთი და მესამემ 25 მანეთი.

ქუთაისი

◆ **კრება ქუთაისის გუბერნიაში.** 30 იანვარს, ქუთაისის საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის სადგომში მოხდა თათბირი ქუთაისში არსებული ყველა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისა, შესახებ ქუთაისის გუბერნიაში ერობის შემოღებისა. თათბირზე უნდა მომხდარიყო პარტიათა შორის შეთანხმება, რომ ერობისთვის ხელმეორე არჩევნები არ მომხდარიყო და დამფუძნებელი კრებისთვის არჩეული დელეგატების რიცხვი პროპორციულად გაეყოთ, რომელნიც ერობას სათავეში ჩაუდგებოდნენ. ამ აზრს ყველა პარტიების წარმომადგენლები იზიარებდნენ, გარდა ბოლშევიკებისა. ბოლშევიკების წარმომადგენელი იმ აზრს იცავდა რომ არჩევნები ხელ ახლად მომხდარიყო. ამ რიგად შეთანხმება არ მოხდა. ამ საკითხს საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტი ორშაბათს, 4 ნოემბერს განიხილავს.

◆ **ქალაქის მდგმურების მოიჯარადრეების შესახებ.** ამ დღეებში მოხდა შეერთებული კრება ქალაქის იურიდიულ და სატყეო საბალანსო კომისიებისა. ამ შეერთებულმა კრებამ განიხილა ქალაქის ადგილების მოიჯარადრების საქმე და დაადგინა: დაუყოვნებლივ აიძრას სარჩელი იმ მოიჯარადრეთა წინააღმდეგ, რომელთაც საიჯარო გადასახადი დღემდის არ შეუტანიათ ქალაქის კასაში, და იჯარით აღებული ადგილები ჩამოართვან. ეს, შეერთებული კრება თავის დადგენილებას განსახილველად წარადგენს ქალაქის საბჭოს მომავალ სხდომაზე.

◆ **ქართველი ჯარისკაცების კურსები.** გრ. ურატაძის მეთაურობით ამ დღეებში ქუთაისში დაარსდება კურსები ქართულ-რუსულ წერა კითხვის. ჯარში ამ ჟამად უმეტესი ნაწილი წერა-კითხვის უცოდინარნი არიან და რაც მალე მოეწყობა ასეთი კურსები მით უკეთესია.

პროტესტები

დამფუძნებელ კრების გარეკვის გამო

შეერთებულ ცენტრის პროტესტი

შეერთებულმა საოლქო ცენტრმა ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით პროტესტი განაცხადა იმ ძალადობის გამო, რომელსაც განიცდის დამფუძნებელი კრება. 1) გამოსთქვამს სასტიკ გულის წყრომას, 2) დამფუძნებელ ყრილობის დათხოვნას ბოლშევიკების მიერ, აღიარებს რუსეთის რესპუბლიკის ნებისყოფის დამახინჯებას და დარღვევას. 3) მოუწოდებს სარევოლიუციო ლაშქარს და კავკასიის მოსახლეობას დაიცვან დამფუძნებელი ყრილობა. შეადგინონ ამისთვის შეიარაღებული რაზმები, გამართონ მიტინგები და სხ. ყველა ეს ზომები მიიღება ამიერ კავკასიის კომისარიატის საოლქო ცენტრთან ერთად.

რკინის გზის მოსამსახურეთა პროტესტი

თბილისში მოხდა რკინის გზის მოსამსახურეთა კრება, რომელმაც პროტესტი განაცხადა დამფუძნებელ კრების გარეკვის გამო. ამასთანავე კრებამ რეზოლიუცია გამოიტანა, რომელშიაც მოითხოვს დამფუძნებელ კრების აღდგენას, წინააღმდეგ შემთხვევაში გაფიცვით იმუქრება.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

თბილისის პირველი უბნის კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ქრისტეშობისთვის 9-ს, შაბათს, 1917 წ. ქართულ გიმნაზიის შენობაში დანიშნულია ამ უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამოაზრეთა საზოგადო კრება. კრების საგანი: 1) ირ. ამირეჯიბის მოხსენება: „თანამედროვე მომენტი და მისი მნიშვნელობა“. კრება დაიწყება საღამოს სრულ 7 საათზე.

თბილისელ ბოლშევიკების აჯანყების ამბები

მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს ქრისტეშობისთვის 4-ის სხდომის ანგარიშიდან.

რაკი ღვინობისთვეში მომხდარ ამბების გამო შესწყდა კავშირი ცენტრთან, ამიერ კავკასიის დემოკრატია იძულებული შეიქმნა დროებითი საოლქო მთავრობა შეექმნა. შესდგა კიდეც ამიერ კავკასიის კომისარიატი, მაგრამ ბოლშევიკებმა როგორც პრესით ისე სიტყვით დაიწყეს აგიტაცია ამიერ კავკასიის კომისარიატის წინააღმდეგ. მათ კომისარიატის შედგენა რუსეთიდან გამოყოფად მიიჩნიეს. როდესაც თბილისში ყარსის პოლკი ჩამოვიდა მათ ამ პოლკში კომისარიატის წინააღმდეგ გასწიეს აგიტაცია. მართავდნენ დამდამობით მიტინგებს და მოუწოდებდნენ ქუჩაში გამოსასვლელად, რათა ძალა დაეტანებინათ ამიერ კავკასიის კომისარიატისათვის და სახალხო კომისრების მთავრობა მიეღებინებინათ.

გიორგობისთვის 22-ს ბოლშევიკების კომიტეტმა პეტროგრადში შემდეგ შინაარსის დეპეშა გაგზავნა: შესდგა კავკასიის მთავრობა, მთავრობაში შედიან ობორონცები და ნაციონალისტები. მეთაურობთ გეგეჭკორი. ჩვენ მას ბრძოლა გამოუცხადეთ, რადგან კონტრ-რევოლიუციონურად ვცანით. კომისარიატის შექმნა ჯარს რუსეთიდან გამოყოფად მიაჩნია. შეგვეძლიან დავემყაროთ ჯარის ურყევლობაზე და ბაქოს საბჭოზე და მივაღებინოთ სახალხო კომისრების მთავრობა. ველით პასუხს. ეს დეპეშა ორჯელ გაგზავნეს, გიორგობისთვის 23-ს და 24 ს. მეორე დეპეშაში ნათქვამია პასუხს აპარატთან ველითო. მიიღო თუ არა ამის შესახებ პასუხი ბოლშევიკების რწმუნებულმა არ ვიცით. ეს ყველაფერი ცენტრალ კომიტეტმა შეიტყო და ზომები მიიღო შეიარაღებულ გამოსვლის თავიდან ასაცილებლად. გიორგობისთვის 26-ს საღამოთი ყარსის პოლკს წინადადება მიეცა, რომ თბილისიდან გასულიყო. 27 და 28-ს იგი წავიდა რადგან დაინახა, რომ აღმასრულებელი კომიტეტი უკიდურეს ზომებს ღებულობდა. გიორგობისთვის 28 ს საარტილერიო საწყობის კომიტეტმა იარაღი არ მისცა. ეს რამდენჯერმე განმეორდა. წითელ გვარდიის შეიარაღებაც მეტად გაძნელდა. ლაშქრის საოლქო საბჭო იარაღს არ იძლეოდა. გიორგობისთვის 28 ს, როდესაც საარტილერიო კომიტეტმა კვლავ უარი განაცხადა იარაღის მიცემაზე, აღმასრულებელ კომიტეტის ბიურომ დაადგინა საარტილერიო საწყობის აღება. შესდგა რაზმი, რომელშიაც შევიდნენ წითელ გვარდიელები, ქართველ-სომეხ და 218 პოლკების ჯარის კაცები ყველა სამხედრო ნაწილებმა იცოდნენ, რომ რაზმი საწყობის დასაჭერად მიდიოდა. ამ რაზმმა საწყობი ისე დაიჭირა რომ თოფი არ გაუსროლია. მეორე დღეს რომელიღაც ნაწილი იარაღით დაეცა ამ რაზმს, რომელიც არსენალს იცავდა. დილის 10 საათზე სროლა ასტყდა. ამავე დროს გაიტაცეს იარაღი. ამ დამცემთა შორის იყვნენ ისეთი პირები, ვინც თავიანთ თავს ბოლშევიკებს უწოდებდნენ. წინა დღეს როდესაც რაზმი ჯერ კიდევ საარტილერიო საწყობს იჭერდა, განიზრახეს მისი თავდასხმა. წითელ გვარდიელებმა უსისხლოდ დაიჭირეს თავ-დამსხმელთა ავტომობილი, რომელიც ტყვიის მფრქვეველებით იყო შეიარაღებული. [illegible] რომ ტყვიის მფრქვეველები [illegible] ჯარის კაცებს გაეწვრთნათ მეორე დღეს სიმხნე[illegible]. დაპირდნენ რომ ვინმე ჯარის კაცი, არა დამცემელთა შორის, არამედ არსენალის დამცველი რაზმის შორის. როდესაც რაზმმა არსენალი დაიჭირა, სასახლეში ბოლშევიკების ლიდერები გამოცხადდნენ აღმასრულებელ კომიტეტის ბიუროსთან მოსალაპარაკებლად. მათ განაცხადეს, რომ რაზმის მიერ არსენალის დაჭერას არ ეწინააღმდეგებიან. ბიურო და ბოლშევიკები შეთანხმდნენ. მეორე დილით მოლაპარაკება უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ ბოლშევიკები არ გამოცხადდნენ და მოულოდნელად სროლა დაიწყო.

საქართველოს ეროვნულ საბჭოში

ქრისტეშობისთვის 3-ს აღმასრულებელ კომიტეტის კრებაზე გაირჩა საკითხი სხვა და სხვა საქმეების გაძღოლის შესახებ. თანახმად ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის 28 ნოემბრის კრების დადგენილებისა, დაინიშნენ გამგეები აღმასრულებელ კომიტეტის შემადგენლობიდან. გამგეებს ევალებათ განსაკუთრებულ კომისიების შედგენა, რომლებშიაც უნდა შევიდნენ თითო წარმომადგენელი ყველა ფრაქციებიდან. გამგეებს და მათ კომისიებს ნება ეძლევათ მოიწვიონ გარეშე პირნი—სპეციალისტები ამა თუ იმ დარგისა კომისიის წევრთა სია წინასწარ უნდა მტკიცდებოდეს აღმასრულებელ კომიტეტის მიერ.

ქონების საქმეთა ანუ ქონების კომისიის გამგედ დაინიშნა გ. ბ. ჟვანია, სამხედრო კომისიისა ნოე რამიშვილი, საფინანსოს კ. დ. მესხი, სასამართლოს და ადმინისტრაციისა გ. ს. რცხილაძე, სასკოლოს და ხელოვნებისა ა. ლომთათიძე, სახალხო მეურნეობის და სასურსათოსი გ. მ. ლასხიშვილი, საერობოს და გამიჯნის ა. ი. ჩხენკელი, სამაჰმადიანო საქართველოს საქმეთა ა. ი. ჩხენკელი, ჯანსაღობისა პ. დ. საყვარელიძე.

სამხედრო კომისიაში შედიან: გამგე კომისიისა ნ. რამიშვილი, ვ. გობეჩია, არჩ. საყვარელიძე, დ. ვაჩნაძე, ნ. ქარცივაძე.

საერობო და გამიჯვნის კომისიაში: გამგე კომისიისა ა. ჩხენკელი, გ. ვეშაპელი, (მდივანი კომისიისა). გ. ნათაძე, ი. გომართელი, პ. გელეიშვილი, ა. მდივანი.

საფინანსო კომისიაში: გამგე კ. მესხი, კ. კანდელაკი, პ. ქავთარაძე, ი. ლორთქიფანიძე, თ. ღლონტი, პ. ალ. ასათიანი.

სასამართლო და ადმინისტრაციის კომისიაში: გამგე გ. რცხილაძე, ა. დიასამიძე, რ. არსენიძე, კ. ქავთარაძე, ი. ბარათაშვილი, ი. მაჭავარიანი.

სასკოლო და ხელოვნების კომისიაში: გამგე ალ. ლომთათიძე, დ. უზნაძე, გ. ბურჯანაძე, შ. გოგიშვილი, ლ. ნათაძე, ვ. თაყაიშვილი.

დანარჩენი კომისიების შედგენა და დამტკიცება გადაიდო შემდეგი კრებისათვის.

იმავე კრებაზე ამიერ-კავკასიის სამიწათ-მოქმედო კომისარის ამხანაგად საქართველოს ეროვნულ საბჭოს მხრივ არჩეულ იქმნა ნ ხომერიკი, აღმასრულებელ კომიტეტის საქმეთა მმართველად დაინიშნა შ. საყვარელიძე, მდივნად ნაზარიშვილი.

მეხუთე ქართულ პოლკის შესახებ, რომელშიაც, როგორც გამოირკვა, დიდი არევ-დარევა და უწესრიგობა სუფევს, გადაწყდა, მიენდოს სამხედრო კომისიის გამგეს ნოე რამიშვილს, დაუყოვნებლივ ზომები მიიღოს მეხუთე პოლკის არა სასურველ ელემენტებისაგან გასაწმენდად და სათანადო წესრიგის დასამყარებლად.

ეროვნულ საბჭოს მეორე სხდომა დანიშნულია კვირას, ქრისტეშობისთვის 10-ს.

არეულობა განჯაში

ამ დღეებში ამიერ კავკასიის კომისარიატს წარუდგა განჯიდან ჩამოსული დელეგაცია, რომელიც სთხოვს ამიერ კავკასიის მთავრობას სასწრაფო ზომები მიიღოს არეულობის ჩასაქრობად.

არეულობა სულ უბრალო შემთხვევით დაწყებულა: გიორგობისთვის 26 ბაზარზე შეტაკება მოსვლიათ სამხედრო მილიციონერს და თათართა პოლკის ცხენოსანს, რომელმაც მილიციონერი სასიკვდილოდ დაჭრა. ამ ადგილას მოსულან მე-219 პოლკის პატრულები, რომლებიც მკვლელს დატიმრებას უპირებდნენ. მაგრამ ჯერ

ეს არ მოსწდარიყო, რომ მოცვენილან შეიარაღებული თათრები და პარტიზანებისთვის სროლა აუტეხნიათ. სროლა ზუა დამემდე გაგრძელებულა. მოკლულნი და დაჭრილნი ორივე მხარეს აღმოჩნდნენ. აღმასრულებელმა კომიტეტმა ჯარი დააწყნარა, მაგრამ ღამე მაინც მოელოდნენ შეტაკებას. მეორე დღეს მაჰმადიანთა კომიტეტის და დეპუტატთა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე დაადგინეს ქალაქში წესიერების დაცვა საბჭოთა ყარაულის მაგივრად მილიციისთვის ჩაებარებინათ. მაგრამ 27-ს, საღამოთი ტუსაღების წამოსაყვანად მიმავალ რაზმს ჯარის კაცებისას შეიარაღებულ მაჰმადიანთა ბრბო თავს დაესხა, 1 ჯარის კაცი მოჰკლა, რამდენიმე დასჭრა და 7 თოფი გაიტაცა. იმავე დღეს მეორე ადგილს დაესხნენ კიდევ თათრები ჯარის კაცებს: შედეგი თითქმის იგივე იყო. ამის შემდეგ თათრებმა ალყა კიდევ დაესხნენ ჯარის კაცებს, მოჰკლეს რამდენიმე … და 1 ოფიცერი.

ამასთანავე ქალაქში გაძლიერდა პოგრომები, რომელიც მცხოვრებთა ერთ ნაწილს მეტად უსიამოვნებს.

დამფუძნებელ კრების არჩევნები

ბაქო.

მენშევიკებმა მიიღეს 5660 ხმა, კადეტებმა—9054, ესერებმა 18,769, დაშნაკცაკანებმა 20,314, ბოლშევიკებმა 22,285, … 456, სომეხ. სახ. პარტიამ 1507, ქრისტ. დემოკრ. 145. ს.-ს. ლიგ.—116, მუსულმანთა პარტია „მუსავატმა" 21762, ს.-დ. გუმმეტმა—128, მუსულ. სოც. ბლოკმა 203, ამიერ კავკასიის მუსულ. 3, რუსეთის მუსულ. … 7850, სიონისტებმა—2081.

სიღნაღი.

სიღნაღის რაიონში არჩევნები დამთავრდა. ესერებმა მიიღეს 40,747 ხმა, კადეტებმა 105, ესერებმა 3,077, დაშნაკცაკანებმა 887, ბოლშევიკებმა 1,391, … ფედერალისტებმა 2,594, სომეხ. სახ. პარტ. 2, ეროვნულ-დემოკრატებმა 602, მუსულმანთა სოც. ბლოკმა და … რადიკალ-დემოკრატებმა 1202 ხმა.

გორში.

გორის რაიონში (გორის მაზრა) მენშევიკებმა მიიღეს 5,370, დაშნაკებმა 2, ბოლშევიკებმა 1, ს.-ფედერალისტებმა 198, ეროვნულ დემოკრატებმა 72.

ტყიბულის რაიონში.

№ 1—მიიღო 9513 ხმა, 2—2, 3—295, 5—17, 6—192, 8—384.

ზესტაფონში.

ზედა სვანეთში ხმების დათვლა დამთავრდა. № 1 მიიღო 8068, 3—4, 5—3, 6—536, 8—195 ხმა.

ონში (ქუთ. მაზ.).

№ 1 მიიღო 801 ხმა, 3—1, 5—1 და 6—61.

სონში.

… რაიონში № 1—12053, 3—12, 5—1375, 6—1049, 8—348 ხმა.

შორაპნის მაზრაში.

№ 1 მიიღო 63304 ხმა, 2—24, 3—478, 4—54, 5—599, 6—1531, 7—11, 8—5172, 9—1, 10—0, 11—0, 12—0, 13—0, 14—0, 15—2.

ცაგერში (ლეჩხ. მაზ.)

ცაგერში მიიღო სოც.-დემოკრ. 626, ეროვ.-დემოკრ. 235, ფედერალისტებმა 45.

ალვში.

სოციალ-დემოკრ. 610, ეროვნულ-დემოკრატებმა 632.

სენაკის მაზრაში

№ 1 მიიღო 50294, 3—544, 5—445, 6—685, 8—1115 2—5.

ს. ხევში (გურია)

№ 1 მიიღო 694, 5—1, და 8—1. ერთ კონვერტში ორი № 8 ბიულეტენი ჩადეს, რომელიც უვარგისათ იქნა ცნობილი.

კოდორის საზოგადოებაში

არჩევნებში კოდორის საზოგადოებაში მიიღო № 1 2753 ხმა, 6—21, 8—367.

სასურსათო მდგომარეობა თბილისის გუბერნიისა

თბილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა სურსათის მდგომარეობის შესახებ სასურსათო საქმეების კომისარს მოხსენება წარუდგინა. მოხსენებაში ნათქვამია, ტრანსპორტისა და საერთოდ რუსეთის მოშლის საქმის აწეწვის გამო გუბერნიის მდგომარეობა ერთობ საშიშია და ცუდი შედეგები მოსალოდნელი. მართალია, თბილისის სასურსათო საგუბერნიო კომიტეტი ზაფხულშივე შეუდგა გუბერნიაში პურის რაოდენობის გამორკვევას და გამოანგარიშებას, მაგრამ მთელ გუბერნიაში მხოლოდ გორის მაზრაში გომის რაიონიდან და ახალციხის მაზრიდან მოგვცეს ქერი ფუთი 8 მანეთად მაშინ, როდესაც მცხოვრებნი ფუთში 40—50 მანეთს აძლევდნენ ხორბალში. სასურსათო კომიტეტს თავის დანიშნულების შესრულებაში ძლიერ უშლიდა ხელს ის გარემოება, რომ ადგილობრივ მმართველობის ორგანოები აღარ იყო.

ეს რომ ასე არა ყოფილიყო, სასურსათო საკითხი ასე არ გამწვავდებოდა, ვინაიდგან გამოანგარიშებულია, რომ მთელ ამიერ კავკასიას სჭირდება 30 მილიონი ფუთი ხორბალი (ამაში ჩათვლილია სათესლე ხორბალიც). წლევანდელ მოსავლის მიხედვით კი საჭირო იყო მხოლოდ 10 მილიონ ფუთი ხორბლის შემოზიდვა. ჩვენს გარეშე, თავისუფალი მოუხმარებელი ხორბალი რჩება. სად მიდის ეს ხორბალი? გორის მაზრაში და მანგლისში ბევრ ალაგას აშკარად ხდიან პურის არაყს. ასევე იქცევიან ალაზნის გაღმა მხარეში. ამ ადგილებში გლეხები ხორბალს არა ჰყიდიან და სპეკულიაციის მიზნით ინახავენ ხორბალს, რომ უფრო მეტი აიღონ მასში.

საიდუმლო ხელშეკრულებანი და სპარსეთი

ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტის „იზვესტიაში" დაბეჭდილია მ. პავლოვიჩის წერილი „საიდუმლო ხელშეკრულებანი და სპარსეთი". მოგვყავს ამ წერილიდან საკითხის ფაქტიური მხარეები:

ინგლისისა და რუსეთის იმპერიალისტების ფარულ გეგმების მიხედვით ამ დიდ „პატარა ერთა განმანთავისუფლებელ" ომს, მთლად უნდა მოესპო სპარსეთის დამოუკიდებლობა. 1907 წლის აგვისტოს 18-ს ინგლისისა და რუსეთის მიერ ხელმოწერილ კონვენციით სპარსეთში გაავლეს სამი სფერო დაამყარა. ჩრდილო სპარსეთი თავის დედა ქალაქ თეირანით, ქალაქ რეშტით, თავრიზით, ყაზვინით, ისფაჰანით და სხ.,—რევოლუციურ მოძრაობის ცენტრებით, რუსეთის გავლენის სფეროდ გამოცხადდა. სამხრეთი სპარსეთი მოჰყვა ინგლისის სფეროს. ხოლო ჩრდილოსა და სამხრეთ სპარსეთის შუა მდებარე ტერიტორია ნეიტრალურად იქმნა ცნობილი.

ამ ომის დაწყებისათანავე ინგლისის და განსაკუთრებით კი რუსის ჯარებმა სპარსეთს ყველა მეტად მნიშვნელოვანი ქალაქები და სტრატეგიული პუნქტები დაუყოვნებლივ დაიჭირეს და ისე იქცეოდნენ, როგორც დაპყრობილ ტერიტორიაში. ოსმალეთის ჯარები, თავის მხრივ, შეიჭრნენ სპარსეთში რუსების გასადევნად და ასე „ნეიტრალ" სპარსეთში კი ომის საშინელებანი იწყება. მაგრამ, რადგან ამ სპარსეთის ნეიტრალიტეტით არვინ იყვნენ დაინტერესებულნი, ინგლის-რუსეთ-საფრანგეთის პუბლიცისტები ბელგიის ბედს დასტიროდნენ, იმ ბელგიის ბედს, რომელმაც განიცადა „ბარბაროს" გერმანელთა ჯარების მიერ მიყენებული საშინელებანი. მაგრამ ვინ დასძრა თუნდა კრინტი ასეთივე ბედის შემწყნარ სპარსეთზე, რომელიც მის მცხოვრებთა და მთავრობის ნების წინააღმდეგ რუსთა და ოსმალთა ჯარებმა ბრძოლის ველად გადააქციეს?

ცენტრალ სახელმწიფოთა პატრიოტი მწერლები კი ცრემლს აფრქვევდნენ სპარსეთში მყოფ რუს-ინგლისელთა ჯარების „ავაზაკობა"-ზე, ხოლო არც კრინტი ბელგიაში მყოფ გერმანელთა ჯარების ასეთივე „საგმირო საქმეთა" შესახებ.

ინგლის-რუსეთის ასეთმა პოლიტიკამ სპარსეთი აალევა და, როგორც იმპერიალისტურ გერმანიის მიერ შექმნილი ბელგიის შეთანხმების სახელმწიფოთაგან გაჯიბრა, ისე სპარსეთი ოსმალეთსა და ცენტრალ სახელმწიფოებს დაუახლოვდა. სპარსელი ფიდაიები ათასობით ეწერებოდა ოსმალეთის ლაშქარში, ხოლო სპარსეთის პატრიოტები რუსის ჯართან საბრძოლველად რაზმებს ადგენდნენ.

სახალხო კომისრების მიერ ამ წარსულ გიორგობისთვეში გამოქვეყნებულმა საიდუმლო ხელშეკრულებებმა ყველაფერს ფარდა ახადეს. მართლაც რომ სპარსეთის ნაციონალისტებმა შესაფერი შორის მჭვრეტელობა გამოიჩინეს: მათ ხომ თავიანთი ბედი ოსმალეთსა და ცენტრალ სახელმწიფოებს დაუკავშირეს. მართლაც და ინგლის-რუსეთის 1915 წლის ხელშეკრულებით გამოდის, რომ მათ გადაწყვეტილი ჰქონიათ სპარსეთისათვის მთლად მოესპოთ თავისუფლება. ინგლისსა და რუსეთს ხელმოწერილი აქვთ ისეთი ხელშეკრულებანი, რომლის მიხედვითაც უქმდება ნეიტრალი ზონა სპარსეთში, ასე რომ მათი განზრახვით მთელი ზონა განაწილებულ უნდა ყოფილიყო სპარსეთის ის ოლქი, რომელსაც ამ ომის დაწყებამდე ისინი უყურადღებოდ სტოვებდნენ. საზღვარგარეთის ფარულ დეპეშაში, რომელიც მოწერილია 7 მარტს 1915 წელს (№ 1265) … ნათქვამია: მთავრობა თანახმაა, რომ სპარსეთის ნეიტრალი ზონა ინგლისის გავლენის სფეროში მოჰყვეს. ისე კი, რომ ისფაჰანსა და იეზდის ქალაქთა რაიონები რუსეთს დარჩეს. ნეიტრალი ზონა ეხლა რუსეთისა და ავღანისტანის საზღვრებში სოლად იჭრება და თვით რუსეთის საზღვარს აკვრია. ამიტომ აუცილებელია, რომ ამ სოლის ერთი ნაწილი რუსეთს შეუერთდეს. მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს ნეიტრალ ზონაში რკინის გზების საკითხს. ამ საკითხს შემდეგშიც შეთანხმებული განხილვა ეჭიროება.

ეს დეპეშა აშკარავებს რუს-ინგლისის სულისკვეთებას. ხოლო ესაა გაუგებარი, რატომაა, რომ ამ ომს პატარა ერთა განმანთავისუფლებელ ომს უწოდებენ.

ერობის შემოღება იმერეთში

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

4 ქრისტეშობისთვეს შესდგა ქუთაისის საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის კრება, რომელზედაც მიწვეული იყვნენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებიც. გასარჩევი იყო: 1) ქუთაისის გუბერნიაში ერობის საკითხი.

ერობის შემოღების შესახებ მოხსენებას აკეთებს აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარე გრ. ურატაძე. მან კრებას გააცნო, რომ ამის შესახებ 2 ქრისტეშობისთვეს მოლაპარაკება ჰქონდათ პარტიათა წარმომადგენლებთან. მოლაპარაკების მიზანი იყო შეთანხმება, რომ არჩევნები ხელახლა არ მომხდარიყო და დაუყოვნებლივ გამოეყენებინათ იმ არჩევნებით, რომელიც დამფუძნებელი კრებისათვის მოხდა, მაგრამ ბოლშევიკების წარმომადგენელი შეთანხმების წინააღმდეგ წავიდა და ხელახალ არჩევნებს მოითხოვდა. არჩევნები მისთვის არ არის ხელსაყრელი, რომ ეს საქმეს დააგვიანებს. მდგომარეობა კი მეტად აუტანელია. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს დღემდის ჯამაგირები არ მიუღიათ, აგრეთვე მდგომარეობაში იმყოფება სხვა ორგანოებისა და დაწესებულებების მოსამსახურებიც, რაც ერობამ უნდა მოაგვაროს. კავკასიის მთავრობისგან დეკრეტი ერობის შემოღების შესახებ გამოცემულია და ჩვენ ეხლავე უნდა შევუდგეთ მის განხორციელებას. რადგანაც არჩევნებს დღეს ვერ მოვახერხებთ, რაც საქმეს გააჭიანურებს, ერობას დროებით სათავეში უნდა ჩაუდგეს აღმასრულებელი კომიტეტები. ეს კომიტეტები არჩეულია კანონიერათ და ხალხი ნდობას უცხადებს, რომელშიაც პროპორციის მიხედვით შევლენ სხვა და სხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები.

დიდი კამათი გამოიწვია იმ საკითხმა მოხდარიყო არჩევნები თუ არა. ბოლშევიკების წარმომადგენელი კატეგორიულად მოითხოვდა, რომ ახალი არჩევნები უსათუოდ მომხდარიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნებოდა უსამართლობა და ხალხი ასეთ მმართველობას ნდობას არ გამოუცხადებს. ერთმა ორატორმა (ს. რევ.) განაცხადა, რომ ეხლანდელი აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობა ვერ არის ნამდვილი გამომხატველი ხალხის სურვილებისა. იმ დროს აღმასრულებელი კომიტეტის წევრებად ირჩევდნენ იმათ ვისაც რევოლუციონერების ტარება კარგად ეხერხებოდათ.

პრინციპიალურათ არჩევნების ხელახლა მოხდენას ყველა მიემხრო და დაადგინეს, რომ ერობის შემოღებისათვის არჩევნები უსათუოთ ხელახლათ მოხდეს.

კამათი გამოიწვია იმ საკითხმა თუ რომელი საფეხურიდან დავიწყოთ ერობის განხორციელება. ერთი ნაწილი ორატორებისა მოითხოვდა, რომ ჯერ მოეწყოთ წვრილი საერობო ერთეულების მმართველობა, შემდეგ სამაზრო და საგუბერნიო, მეორე ნაწილი ორატორებისა კი მოითხოვდნენ საგუბერნიოდან დაეწყოთ რადგანაც ეს უფრო ცოტა დროს მოითხოვდა, რადგანაც ყველა წვრილ ერთეულებს, და რაც, რამდენიმე თვის მუშაობას, სოფლებს და რაიონებს შეეწყვეტა … იმას მოანდომებს.

რომ ერობა მალე იქმნეს განხორციელებული, რაც დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს აწეწილ-დაწეწილ მდგომარეობას—ეს გაითვალისწინა ყველა ორატორებმა და შეჩერდნენ ჯერ სამაზრო საერობო ერთეულების შემოღებაზე, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამასთანავე ეზრუნათ წვრილი საერობო ერთეულების შემოღებაზედაც.

კენჭის ყრით გაირდა, რომ ეხლავე შემოღებულ იქმნას სამაზრო ერობა.

სამაზრო ბჭობის სამმართველოს ხმოსნებმა უნდა აირჩიონ საგუბერნიო სამმართველოს ხმოსნები.

წინადადება შემოვიდა რომ ყველა მაზრებში არჩეულ იქმნას კომისიები, რომელიც შეუდგება ერობისათვის სხვა და სხვა მასალების შეკრებას, ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტმა თავის მხრით აირჩია: ვ. კანდელაკი, პ. მოდებაძე და ლ. შენგელია; რომელნიც კოოპტაციის სახით საერობო საქმეთა მცოდნე პირებს მოიწვევენ.

დადგენილ იქმნა, რომ აირჩიონ კომისია 7 წევრისა და 2 მათი კანდიდატისაგან, რომელნიც გაემგზავრებიან მაზრებში, ხელმძღვანელობას გაუწევენ არჩევნების მოხდენას და ერობის შემოღებას. კომისიაში არჩეულ იქმნენ: გრ. ურატაძე, ტიტე მარგველაშვილი, გრ. გველესიანი, ივ. გოგიჩაძე, პ. მოდებაძე, ანზორიძე და ვ. კანდელაკი, ხოლო მათ კანდიდატებად გრ. ბარათაშვილი და ვ. მუთაფელაძე.

ამ კომისიის წევრებს დღიურ ხარჯათ მიეცემათ ოც-ოცი მანეთი გარდა სამგზავრო ხარჯებისა.

ყოველ მაზრებში ხმოსანთა სია უნდა შედგენილ იქმნას პოლიტიკურ პარტიათა შეთანხმებით. საერობო მმართველობაში. ხმოსნები ყველა პარტიებს ეყოლება ხმოსანთა რიცხვი თვითეულ მაზრაში უნდა განისაზღვროებოდეს 20-დან 50-მდის, იმისდა მიხედვით ამა თუ იმ მაზრაში თუ რამდენი მცხოვრები იმყოფება.

ნ. აბათიანი.

კორესპონდენცია

ახალციხიდან

სრული 50 წელიწადია, რაც ახალციხისა და მისი მაზრის ქართველი კათოლიკეები სომხის უსამართლო ზეგავლენის ქვეშ იტანჯებიან. ვინ არ იცის, რომ სომხის სასულიერო მმართველობამ ქართველ კათოლიკეებს მშობლიურ ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა მოუსპო და მათ სომხური შემოუღო. მაგრამ ქართველ კათოლიკეებს არ აკმაყოფილებდა ყველა ამას. მათ შვილებს, ისინი სომხურ კათოლიკეთა წესზე ნათლავდნენ და ნათლობის ქაღალდშიც სომეხ კათოლიკეებად სწერდნენ. მაგრამ ყველაფერს აქვს ბოლო და, როგორც იყო, მოესწრო ამ უსამართლო ძალადობასაც ბოლო მოეღო. ამ ათი დღის წინეთ ადგილობრივ მცხოვრებ ქართველ კათოლიკე იოსებ პავლეძე ბ-ნ მაისურაძის თაოსნობით შესდგა ახალციხეში ქართველ კათოლიკეთა კრება, რომელსაც დაესწრნენ მთელი მაზრიდან გამოგზავნილი 64 კაცი და თბილისის ქართველ კათოლიკეთა საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი პრომაშვილი და მღვდელი მიხეილ იოსების ძე ბ-ნი მღებრიშვილი, რომლებმაც განიხილეს უმწეო მდგომარეობა და სომეხ კათოლიკე ქსენზები და ფეით სომხებისგან უსამართლო ქცევა მათდამი და დაადგინეს: აირჩიონ 12 კაცისაგან შემდგარი კომისია, სახელდობრ ზაქარია დიდიმამისშვილი, რაფაელ ბეგისშვილი, ივანე მღებრიშვილი მიხეილ წალდიძე, იაკობ მესარკიშვილი, ივანე … შვილი, სტეფანე გასპარიშვილი, ლუკა ხუციშვილი და სხვანი, რომლებსაც დაევალათ წინააღმდეგობა გაუწიონ სომხებს და დაბეჯითონ ყოველგან, როგორც ქ. ახალციხეში, აგრეთვე მის მაზრებშიაც კათოლიკეთა ეკლესიები, ვიდრე 1) არ მოაშორებენ მათ ეკლესიებში სომხურ ენაზე წირვა ლოცვას, არ გამოყოფენ მათ და მასთან ერთად ყველა იმ ქართველ კათოლიკეებს, რომლებიც სომხის მღვდლებმა ნათლობის ქაღალდში ნაცვლად ქართველი კათოლიკეებისა სომეხ კათოლიკეებათ ჩასწერეს და თანაც მათი ქართველი გვარი „ძე" და „შვილი" „იანცებათ" გადაიღეს, არ გადააწყობენ სინამდვილეზე, მანამ ეკლესია არ გაიღება. ყველა ამ დადგენილებას წინა აღუდგა დეკანოზი თომა … ლი, რომელმაც კრებაზე განაცხადა, თანახმა არ ვიქნები ასეთი დადგენილებისა, რადგანაც ეკლესიების დაკეტვით კუჭი მშიერი დამრჩებაო, „ჯერ გამიძღეთ კუჭი და მერე ხმარე დაკეტეთ" უთქვამს დეკანოზს. … ქართული ანდაზა. რა გვიშველა ქართველებს, რომ ასეთი გამყიდველი დეკანოზები არ გვყავდნენ, ღირსნი შავრაზმელ … რომელნიც თავიანთ კიდეც ქართველობას. რა კარგი იქნებოდა, რომ ამ კუჭის დეკანოზს მიებაძნა ცოტათი მაინც ახალციხისავე მცხოვრებ ქართველ კათოლიკე ბ. ბ. თისომშვილისა და ა. გიორგაძისთვის, რომელთაც თითქმის უკანასკნელი პერანგიც კი გაჰყიდეს, რომ ქართველ რაზმში ჩასაწერად თავიანთი ქართველობა დაემტკიცებინათ და სომხურად ნათლობის ქაღალდში ჩაწერილი „თისოიანც" და „გიორგიანც" თისომშვილად და გიორგაძედ … გინათ! სამწუხაროდ კუჭის დეკანოზს მიმბაძველები ნაკლებად ჰყავს. ფერთო მასში უკვე ღრმათაა შეჭრილი ის შეგნება, რომ მიუხედავად რწმენის სხვა და სხვაობისა, კათოლიკე ქართველნი ქართველებით არიან და ეროვნული ტიპიკოის იძულება მათ ვერ შეაცვლევინებს გვარტომობას, როგორც ეს ისტორიის ფაქტი დაგვიმტკიცებს. შორს აღარაა ის დრო, რომ ქართველ კათოლიკეთა … ერთხელ და უკანასკნელად მოსპობენ სომეხ … რომელნიც … გარდა ამცდა გვტანჯავდნენ თვალთმაქცობით.

კ. მარტყოფელი.

წერილი რედ. მიმართ

მოწყალეო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის ფურცლებზე მეც ამოვიოხრო.

მეგონა ვლ. შალიკაშვილის წერილით იქმნებოდნენ ჩემი უსაბუთო ლანძღვას ქართველი მსახიობები, მაგრამ არა: შალიკაშვილის წერილს მიჰყვა მსახიობ ა. იმედაშვილის წერილი გაზ. „საქართველოში" (№ 264). … ზოგი თვითონ მეც …

იმედაშვილის აზრი, ვითომ მე ჩემი პოემა ქართული დასისთვის—შალიკაშვილისთვის—… სცენაზე დასადგმელად დამეწერა. მე ეს პოემა მივეცი შალვა დადიანს, მან წაიკითხა, მოიწონა და წერილიც გამატანა რედაქციაში, … მე ძალიან მოწონს და ჩემი საკუთარი ძალებით დავდგამო. ეს წერილი ეხლაც ისევ შენახული მაქვს.

მერე იმედაშვილი ამბობს, ვითომ ჩემს წერილში იყოს ნათქვამი არტისტებზე: „თავიანთ ქებაში მხოლოდ მაშინ არიან, როდესაც გარყვნილ დედაკაცებს და ლოთ ჯიბგირებს ასახიერებენ". ძალიან მწყინს, რომ იმედაშვილი სწერს ამას. სხვა რომ სწერდეს, გამეხარდებოდა, რადგანაც … თვითონვე ახსენოს …, სადაც ჩემი წერილია დაბეჭდილი (… ნომერი „სახალხო საქმისა"). ჩემს წერილში ვამბობ მხოლოდ, რომ „თავიანთ როლებში იყვნენ მსახიობები" … რომლები შორის იყო განაწილებული-მეთქი. მაშ როგორ უნდა შეკვეთა, არ ვიცი, განა დასამარცხებელი ვარ, … ჰამლეტის როლში ენახოთ და ვთქვა, თავის როლში არ იყო მეთქი, ან … როლში ენახო და … თავის როლში იყო მეთქი?

რაც შეეხება ჩემი წერილის დანარჩენ ნაწილს, იქ სრული ფაქტებია გამოთქმული და ჯავრზე რომ მივაწეროთ, უკან არ წავიდეს.

ი. მჭედლიშვილი.

რედაქტორი ხარიტონ ვეშაპელი.

კალენდარი

შაბათი, ქრისტეშობისთვის 9

მე-25 დღე ქრ. შობის მარხვისა.

ქართ. მოციქულ და მოწამე წმ. ანნასი, … წმიდისა ღვთისმშობლისა.

კათოლ. ლეოკადია და ვალერიანა.

სომეხ. მოციქულ და მოწ. ქალწულ … მიერ.

მაჰმად. შაბან 7 რ. … 1336 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. ტებეთ 8 რ. … 5678 წ. ქვეყ. შექ.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(ქალაქ თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ საფ. № 5, 11,32 დილ.
სამგზ. № 9, 11.28 დილ.
ხაშური-ბორჯომის. № 19, 3.17 დღ.
„ № 17, 8.19 დილ.
ბაქოსაკენ ჩქარ. № 6, 9.51 დილ.
„ საფ. № 4, 8.46 საღ.
[illegible] სამგზ. № 4 8, 12.15 საღ.
„ № 61. 8,18 დილით (მხოლოდ კვირა-უქმით …).
„ № 63.4, 48 ნაშუადღევზე მცხეთამდე.

თბილისში მოდის:

ბათუმიდან სამგზ. № 10, 8.38 დილ.
„ საფ. № 6, 7,41 საღ.
ხაშ.-ბორჯ. სამგზ. № 20, 7.57 დილ.
„ სამგზ. № 18, 9.50 საღ.
ბაქოდან საფ. № 8, 10 26 დილ.
„ ჩქარ. № 5, 10 20 საღ.
ყარს-ჯულფ. საფ. № 3***, 7. 58 დილ.

კახეთის რკინის გზა

თბილისიდან გადის:

სამგზ. № 4, 8.58 დილ.

თბილისში მოდის:

საღამოთი 6.24 წუთ.

სახალხო კალენდარი 1918 წ.

Типографія Сорапанъ М. Гачечиладзе. Тифлисъ.

გამოვიდა გასასყიდად აგრეთვე

ახალი ჩანგი

შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ ფასი 4 მ. 50 კ. ფოსტით გაგზავნით ნალოჟნი პლატეჟით 5 მ. 50 კაპ.

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა

ქართველი მწერლები, პირველი ნაწილი

ივ. გომელაურისა.

7—887—4

სტამბა „სორაპანი" [illegible] შესახვევი № 4